პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

პარასკევი 10 სექტემბერი 1937 წ. № 207 (5008)

საქ. ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

დღეს გაზეთშია:

— მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა (მოწინავე)
— თვითმფრინავ „ნ—209-“ის საძებნელად
— თამბაქოს შეტეხვა კოლმეურნეობებში.
— ღირსეული პასუხი ფაშისტ-პირატებს
— ნ. ინაშვილი — დაუშვებელი თვითდინების ტყვეობაში (ფელეტონი)
— კორნილოვის აჯანყების განადგურება (1917 წლის 7-12 სექტემბერი)

უცხოეთში:
— ჩინეთის ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობა.
— იაპონელთა დიდი დანაკლისი.
— ესპანეთის ფრონტებზე.
— მუსოლინი მიემგზავრება გერმანიაში.
— თურქეთის პრესის გამოხმაურება იუნუს-ნადის პროვოკაციულ გამოსვლაზე.
— რეიტერის სააგენტო ხმელთაშუა ზღვის კონფერენციის შესახებ.

## მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა

წერა-კითხვის შესწავლის, სწავლა-განათლების მიღების სურვილი ჩვენს ხალხში ყოველთვის ძლიერი იყო, მაგრამ თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის შავბნელ ხანაში ამ სურვილს დაუნდობლად ახშობდნენ. რეაქციამ კარგად იცოდა, რომ ხალხში განათლების შუქის შეტანა არსებობას შეუმოკლებდა შავ ძალებს, ბოლოს მოუღებდა მათ ბატონობას.

წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი ადვილად იჩაგრებოდა, მასში დიდი გასავალი ჰქონდა რელიგიას, ამ გამაბრუებელ ოპიუმს, და ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას. სწორედ ამით იყო გამოწვეული ცნობილი „გლეხის პატარა ბიჭის“ გულის სიღრმიდან ამონაკვნესი:

„ისმინეთ, წიგნის მცოდნენო,
ჩემი ვედრება, სიტყვაი!
მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ,
მასწავლეთ წერა-კითხვაი!“

მაგრამ ეს ამონაკვნესი გამოხმაურებას ვერ პოულობდა, რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ხალხიდან თვითგანვითარებით გამოსული ერთეულები წვეთი იყო ზღვაში. მასწავლებლები, ლენინის თქმით, — „კურდღელივით დევნილი“ იყვნენ, თვითმპყრობელობა და მენშევიკური სატრაპია სიბნელესა და ხიშტს ეყრდნობოდა.

დიადმა ოქტომბერმა, ბოლო მოუღო რა მშრომელთა ჩაგვრას, ფართო გზა გაუხსნა ხალხის განვითარებას და საამურ ცხოვრებას. ოქტომბრის მესაჭემ დიდმა ბელადმა ლენინმა მაშინ მიგვითითა: წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთო—და საბჭოთა ხელისუფლებას ერთერთ მთავარ საბრძოლო ამოცანად მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა დაუსახა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს ჩვენი ქვეყანა, მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში უდიდეს და გადამწყვეტ გამარჯვებებთან ერთად, დიდი წარმატებით ხვდება მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მხრივაც. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოს მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი 18-19-ს ძლივს აღწევდა, ხოლო ახლა ეს პროცენტი 94-ს აღემატება.

სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საერთოდ, და მცირემცოდნეობისა ძირითადად, მიმდინარე წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ განათლების სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები მეტად სუსტად იბრძვიან ამ ფრიად მნიშვნელოვან და პასუხსაგებ ამოცანის დროზე და უნაკლოდ შესრულებისათვის. ხალხის მტრები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ განათლების ორგანოებში და რომლებიც ამჟამად უკვე მხილებული არიან, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ნაცვლად უკანასკნელ ხანებამდის თვალთმაქცურად, ბაქი-ბუქითა და ხელოვნურად გაბერილი ციფრებით ცდილობდნენ შეენიღბათ თავიანთი მავნებლური საქმიანობა.

განსახკომელ მავნებლებს კვერს უკრავდნენ, გაბერილ ცნობებს უმოწმებდნენ ზოგიერთ რაიონში მოკალათებული ხალხის მტრების ნაბოლარები. მაგალითად, ხაშურის რაიონში განათლების განყოფილების უდარდელობით და ფუქსავატობით, რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ხელისშეწყობით შეგნებულად დაამახინჯეს წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა აღრიცხვა. ამის გამო მათ, ნაცვლად 295-ისა, უკანასკნელი აღრიცხვით წერა-კითხვის 2.130 უცოდინარი აღმოაჩნდათ. დუშეთის რაიონში—2.400-ის ნაცვლად აღმოჩნდა 4.000-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო თვით ქალაქ დუშეთში, აღრიცხული 4 კაცის ნაცვლად — 42. ასეთივე მდგომარეობაა სიღნაღის, ყვარლის, თელავის, ალბულალის, კასპის და ბევრ სხვა რაიონში, რაც რესპუბლიკის მასშტაბით დიდ განსხვავებას იძლევა განსახკომის აღრიცხვასა და სინამდვილეს შორის.

განსახკომისა და ადგილობრივი ორგანოების უყურადღებობისა და უდარდელობის შედეგად მთელ რიგ რაიონებში (ხაშური, გურჯაანი, დუშეთი, ალბულალი, თელავი, კასპი და სხვ.) ადგილი აქვს ზემდგომი ორგანოების მოტყუების აღმაშფოთებელ ცდებს. ეს იმაში გამოიხატება, რომ წერა-კითხვის მცოდნედ აცხადებენ და აქტებში შეაქვთ ისეთი პირები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, ან სიებში შეაქვთ ისეთები, რომლებმაც წინათაც იცოდნენ წერა-კითხვა, სკოლებში უსწავლიათ.

განსახკომს რაიონებში, გარდა წერა-კითხვის ინსპექტორებისა, ჰყავს დიდი შტატი ე. წ. რწმუნებულებისა, რომელთა მუშაობას არავინ ამოწმებს, მათთვის კონტროლისა და დახმარების გაწევისათვის განსახკომში თავს არ იწუხებენ. განსახკომში ახლაც არ იციან, როგორია წერა-კითხვის უცოდინართა ეროვნული შემადგენლობა. ამის გამო შეუძლებელია მათი მომარაგება სახელმძღვანელოებით.

წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის სათანადოდ ვერ იბრძვიან კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, როცა ეს მათი უმნიშვნელოვანეს ამოცანას უნდა შეადგენდეს.

ამ დარგში ასეთ სამარცხვინო ჩამორჩენაში დანაშაულის საკმაო წილი მიუძღვით სარაიონო, საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან ჩამოყალიბებულ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ხელისშემწყობ სექციებს, რომელთა მუშაობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე დაყენებული.

ახლოვდება უზენაესი საბჭოს არჩევნები. ამასთან დაკავშირებით პირველხარისხოვანი ამოცანაა: უკლებლივ ყველა მშრომელმა შეგნებული და აქტიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ეს კი მთლიანად მაშინ განხორციელდება, როცა ყველა ამომრჩეველი წერა-კითხვის მცოდნე იქნება და დამოუკიდებლად შესძლებს საარჩევნო ბიულეტენის შევსებას, სიების წაკითხვა-განხილვას.

ცოტა დრო დარჩა იმ დიდ თარიღამდის, როცა საბჭოთა კავშირის ბედნიერი მოქალაქეები, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად, იზეიმებენ დიადი ოქტომბრის 20 წლისთავს. საქართველოს განათლების ყველა მუშაკის, ექიმების, აგრონომების საპატიო ამოცანად უნდა გახდეს კონკრეტულ ვალდებულებათა აღება წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის მოსასპობად და მათი შესრულება დიადი წლისთავისათვის.

განსახკომის, რაიონების პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა: ფართოდ გაშალონ სოც. შეჯიბრება, აღმოფხვრან მავნებლობის შედეგები. ზუსტად აღრიცხონ წერა-კითხვის უცოდინარნი, მოამარაგონ ისინი სასწავლო ნივთებით, სათავეში ჩაუდგნენ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის საქმეს და ღირსეულად შეასრულონ ის.

## თამბაქოს შეტეხვა კოლმეურნეობებში

### მიწსახკომის 6 სექტემბრის ცნობებით

| რაიონები | შეტეხის გეგმა ზონარ-მეტრებით | შეტეხილია ზონარ-მეტრებით | გეგმის შესრულება პროც. |
|---|---|---|---|
| გურჯაანი | 1.100.000 | 220.000 | 20 |
| სიღნაღი | 8.538.750 | 3.329.000 | 39 |
| ყვარელი | 2.400.000 | 1.311.052 | 54,6 |
| ლაგოდეხი | 19.317.870 | 10.562.840 | 54,7 |
| ბორჩალო | 9.394.935 | 5.813.490 | 61,9 |
| ლუქსემბურგი | 1.409.650 | 1.002.967 | 71,2 |
| ზუგდიდი | 1.413.720 | 1.468.043 | 103,8 |
| წალენჯიხა | 498.000 | 317.209 | 79,7 |
| ჩხოროწყუ | 704.940 | 434.111 | 61,6 |
| ჩოხატაური | 2.480.000 | 1.240.191 | 50 |
| აფხაზეთის ასსრ | 53.994.850 | 33.052.630 | 61,2 |
| აჭარის ასსრ | 3.727.100 | 1.841.100 | 49,4 |
| ს უ ლ | 104.979.815 | 60.592.633 | 57,7 |

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ თამბაქოს შეტეხა ძალიან ჩამორჩა. თამბაქოს შეტეხის ვადები იწურება. აგვისტოს მეხუთე ხუთდღიურში შეტეხილი იყო 7.786.910 ზონარ-მეტრი, მეექვსეში—6.897.430, ხოლო სექტემბრის პირველ ხუთდღიურში 9.462.411 ზონარ-მეტრი. შეტეხის ასეთი ტემპები დამაკმაყოფილებელი არ არის.

ბევრგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა თამბაქოს დანაკარგებთან ბრძოლას. ეს შეუწყნარებელია. ბრიგადებზე მუშაობა ისე უნდა გაიშალოს, რომ თამბაქოს მოსავლის აღება დამთავრდეს 15 სექტემბრისათვის.

# სამხედრო მოქმედება ჩინეთში

## ჩინეთის ჯარების შეუპოვარი წინააღმდეგობა

**ლონდონი**, 8 სექტემბერი (საქდესი). „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ სუნ მეი-ლინმა (ჩან კაი-შის ცოლი) მიიღო ამ გაზეთის წინადადება გახდეს მისი სამხედრო კორესპონდენტი ჩინეთში. სუნ მეი-ლინის პირველი დეპეშა, რომელიც გამოქვეყნებულია 8 სექტემბრის გაზეთში, ამტკიცებს, რომ ჩინეთის ჯარები აწარმოებენ შეტევას ლოდიანსა და ლიუხეს შუა მდებარე გზის გასწვრივ და ამჟამად ემუქრებიან იაპონელთა გარნიზონს ლოდიანში.

ჩინეთის ჯარები წინააღმდეგობას უწევენ იაპონელებს შანხაი-უსუნის ფრონტის ყველა უბანზე. სუნ მეი-ლინის სიტყვით, ტაიხუს ტბაზე (შანხაის დასავლეთით) გამართულ საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს იაპონელთა 2 ყუმბარმზიდი. 7 სექტემბერს ჩრდილო-ჩინეთში ჩინელთა ჯარმა იერიში მიიტანა იაპონელთა პოზიციებზე მდინარე ძიან-ხესთან (ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის რაიონში). იაპონიის ჯარებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან მდინარის გაღმა. დასასრულ სუნ მეი-ლინი ამტკიცებს, რომ ნანკინის მთავრობა ამჟამად ამზადებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ გაარღვიოს ჩინეთის სანაპიროს იაპონელთა ბლოკადა.

## იაპონელთა დიდი დანაკლისი

**ლონდონი**, 8 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „ტაიმსის“ ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიის სამხედრო სარდლობის კომუნიკეს თანახმად, გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს 20 მილის მანძილზე მინტოუგოდან (ბეიპინის დასავლეთით) დასავლეთით, სადაც ჩინელთა დივიზია ძლიერ გამაგრდა მთების ძირში, იაპონიის ჯარმა დიდი დანაკლისი განიცადა. იაპონიის ჯარს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ მაჩანის რაიონშიც (ძინხაის სამხრეთით), სადაც წყალდიდობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თავდაცვას, რასაც ნანკინის ორი დივიზია და ჩინეთის მე-29 არმიის ნაწილები ანხორციელებენ.

იაპონიის ჯარები, რომლებიც დატუნის (შანსის პროვინციი, კალგანის სამხრეთ-დასავლეთით) მიმართულებით უტევენ, შევიდნენ შანსის პროვინციაში და დაიკავეს ტიახჯენი,— ბეიპინ-სუიუანის რკინიგზაზე. იაპონიის ჯარები განაგრძობენ შეტევას იანგაოს მიმართულებით (შანსის პროვინციის ჩრდილო ნაწილში), სადაც ჩინეთის ჯარების მოწინავე პოზიციებია.

## იაპონიის ავიაციის თავდასხმა ჩინელთა აეროდრომებზე

**შანხაი**, 8 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, იაპონელთა 4 ყუმბარმტყორცნი 4 ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხა ჩინელთა აეროდრომებს ხაიჯოუსა და გუანდეს შუა (ხანჯოუს ჩრდილო - დასავლეთით). უკან დაბრუნებისას იაპონელთა თვითმფრინავებს დაეწივნენ ჩინელთა ავიაგამანადგურებლები ტაიხუს ტბის რაიონში (შანხაის დასავლეთით). ბრძოლის შედეგად იაპონელთა ერთი ყუმბარმტყორცნი და ერთი ავიაგამანადგურებელი ჩამოგდებულ იქნა და ტბაში ჩავარდა.

## ჯაონიას ყუმბარები დაუშინეს

**შანხაი**, 8 სექტემბერი (საქდესი). გუშინ იაპონელთა 4 საკანონერო გემმა ყუმბარები დაუშინა ჯაოანიას (სანაპიროზე ამოიმსა და სვატოუს შუა). გემები ცდილობდნენ გადმოესხათ საზღვაო ქვეითი ჯარი. ჩინელთა ჯარმა ხელი შეუშალა გადმოსხმას. ტუნშანის კუნძულები (ჯაოანიას მახლობლად) ხელში ჩაიგდეს იაპონელებმა და გადააქციეს ბაზად საომარი მოქმედებისათვის სამხრეთ ჩინეთში.

## ჰაუ — ინგლისის საქმეთა ახალი რწმუნებული ჩინეთში

**ლონდონი**, 8 სექტემბერი (საქდესი). როგორც „დეილი ექსპრესის“ ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის საქმეთა ახლადდანიშნული რწმუნებული ჩინეთში ჰაუ, რომელმაც უნდა შესცვალოს ინგლისის ელჩი ჰიუჯესენი მის გამოჯანმრთელებამდე, შეჩერდა ჰონკონგში მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებთან სათათბიროდ ჩინეთის სანაპიროს ბლოკადის საკითხებზე, რაც იაპონელებმა გამოაცხადეს.

კორესპონდენტი იუწყება აგრეთვე, რომ ინგლისის ზარბაზნიანი ნავი მზად იყო ჰონკონგოდან გასასვლელად ინგლისის გემ „ტაიშანის“ დასახმარებლად, რომელიც პირველად დააკავეს იაპონელებმა ამ კვირის დასაწყისს, მაგრამ „ზარბაზნიანი ნავის გასვლა კატეგორიულად აკრძალა ინგლისის ხელისუფლებამ“.

## მოწოდება ჩინეთის ელჩისა ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ვაშინგტონი**, 8 სექტემბერი (საქდესი). ჩინეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით მატერიალური დახმარება გაუწიონ დაჭრილ ჩინელებს და მშვიდობიან მოსახლეობას, რომელსაც არ მოეპოება ბინა და საზრდო. საელჩო თავის მიმართვაში აღნიშნავს, რომ იაპონიას განზრახული აქვს არა მარტო ჩინეთის ხელში ჩაგდება, არამედ აგრეთვე სრული ბატონობის დამყარება წყნარ ოკეანეზე, ფილიპინის კუნძულების, ჰავაისა და ავსტრალიის ჩათვლით.

## ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

**ვაშინგტონი**, 8 სექტემბერი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი (საგარეო საქმეთა სამინისტრო) იუწყება, რომ თუ მოკლე ხანში არ გაუმჯობესდა ჩინეთში არსებული მდგომარეობა, ამერიკის საკონსულოები ამოისა და ფუჯოუში (ორივე ქალაქი ფუძიანის პროვინციაშია) დაიხურება.

o o o

## ჩინეთის სანაპირო ბლოკადა და ინგლისი

**ლონდონი**, 8 სექტემბერი (საქდესი). ჩინეთის სანაპიროს ბლოკადაზე, რაც ამას წინათ გამოაცხადა იაპონიის მთავრობამ, რეიტერის სააგენტოს სიტყვით, გაძლიერებით მსჯელობენ ინგლისის სხვადასხვა წრეში. ინგლისის მთავრობა ჰფიქრობს, რომ იაპონიის მთავრობა არ შეუშლის ხელს ინგლისის ნაოსნობას შორეულ-აღმოსავლეთის წყლებში. ამიტომ ინგლისის მთავრობას იმედი აქვს, რომ შორეულ - აღმოსავლეთში არ წამოიჭრება ინციდენტები, რომელთაც შეუძლიათ ინგლისის ნაოსნობის დარღვევა, და რომ ამგვარად ჩინეთის სანაპიროს ბლოკადის კანონიერების საკითხი არ იქნება აძრული.

ინგლისის ოფიციალური წრეები, განაგრძობს რეიტერის სააგენტო, უარს ამბობენ კომენტარიები გაუკეთონ იაპონიის წინასწარ პასუხს ინგლისის ნოტაზე ჰიუჯესენის დაჭრის საკითხის შესახებ მანამდე, სანამ არ იქნება მიღებული იაპონიის საბოლოო პასუხი. მაგრამ, აღნიშნავს სააგენტო, თუ იაპონია დაკმაყოფილდება მხოლოდ უკვე წარდგენილი წინასწარი პასუხით, ეს უკანასკნელი ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

## პირატული მოქმედებანი ხმელთაშუა ზღვაში

ინგლისის ნავთჩამომსხმელი გემი „ხარპა“, რომელსაც 7 სექტემბერს საღამოს თავს დაესხა „უცნობი ეროვნების“ სამხედრო გემი, მიდიოდა პორტ-საიდიდან ლა გულეტს (ტუნისი). ტორპედი, რომელიც „უცნობი ეროვნების“ სამხედრო გემმა გაისროლა, არ მოხვდა „ხარპას“. ინგლისის გემმა ისარგებლა სიბნელით და წავიდა.



საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მარსელ კაშენი.
დაბადებიდან 68 წლის შესრულების გამო (1869 წ. 10/IX)
გადაღებულია 1933 წელს ამხ. კაშენის თბილისში ჩამოსვლის დროს.
ფოტო „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

## ვილკინსი ეძებს თვითმფრინავ „ნ-209“-ს

ცნობილი ამერიკელი პოლარული მკვლევარი და მფრინავი ვილკინსი 7 სექტემბერს მფრინავი ნავით „სსრ ლ-2“ კვლავ გაემართა თვითმფრინავ „ნ-209“-ის საძებნელად. ვილკინსს რადიოთი განუწყვეტელი კავშირი აქვს გაზმული სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან ვაშინგტონში. თავის მხრივ სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი — ამხ. უმანსკი სისტემატურად გადასცემს ამხ. შმიდტის სახელზე მოსკოვში დეპეშას ვილკინსის გაფრენაზე და მის მიერ ლევანევსკის თვითმფრინავის ძებნაზე.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, ვილკინსი გაფრინდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ჩრდილოეთით კარგი საფრენოსნო პირობები იქნებოდა. გაფრენიდან 1 საათისა და 15 წუთის შემდეგ ვილკინსი მოჰყვა ნისლში. თვითმფრინავმა იწყო მოყინვა. ნისლს რომ გასცილდებოდა, მანქანა ლხვებოდა. 70 პარალელზე მფრინავი შეხვდა ყინულს ნახევარმილის ხილვადობის დროს. ვილკინსი იძულებული იყო ეფრინა დაბლა, 100 ფუტის სიმაღლეზე.

7 საათის ფრენის შემდეგ ვილკინსმა აცნობა თავის ნავის ადგილსამყოფელი. იგი უკვე იყო ჩრდილო განედის 82 გრადუსსა და 30 წუთზე და დასავლეთ გრძედის 146 გრადუსზე. ყინულზე წინანდებურად მსუბუქი ნისლი იდგა, მაგრამ ხილვადობა დამაკმაყოფილებელი იყო. დაწესებულ ვადებში „სსსრ ლ-2“-ის რაცია ეთერში გადასცემდა ლევანევსკის თვითმფრინავის ძახილის სიგნალს „რლ“. პასუხი არ ისმოდა.

9 საათის ფრენის შემდეგ „სსსრ ლ-2“ უკვე იმყოფებოდა ჩრდილო განედის 84 გრადუსსა და 45 წუთზე და დასავლეთ გრძედის 148 გრადუსზე, რადგან ვილკინსი იძულებული იყო ღრუბლებს ზევით ეფრინა, იგი უკან გამობრუნდა.

ამხ. უმანსკის უკანასკნელ დეპეშაში ნათქვამია, რომ მფრინავი ნავი „სსსრ ლ-2“ 8 სექტემბერს განაგრძობდა ლევანევსკის ძებნას. იგი მიხვევ-მოხვევით მიდიოდა ჩრდილო განედის 83 გრადუსსა და 84 გრადუს და 20 წუთზე და დასავლეთ გრძედის 145 და 148 გრადუსებს შუა. (საქდესი).

## რუდოლფის კუნძულზე დაბალი ღრუბლიანობაა

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსმა ამხ. ო. ი. შმიდტმა საჰაერო ექსპედიციის უფროსისაგან ამხ. მ. ი. შეველიოვისაგან მიიღო შემდეგი რადიოგრამა:

„სურვილის კონცხი“, უკანასკნელი ოთხი დღეღამის განმავლობაში მუდამ მზად ვართ რუდოლფის კუნძულზე გასაფრენად. ყოველდღე რუდოლფის კუნძული უეცრად ჩნდებოდა 1-2 საათს, შემდეგ კვლავ იფარებოდა. იძულებული ვართ დაველოდოთ ღრუბლების გადაყრას რუდოლფზე. მფრინავ კოზლოვს დევალე პირველი გამოშუქებისთანავე გაფრინდეს და მონახოს ფრანც იოსების მიწის კუნძულებზე დაბლა მდებარე აეროდრომი, სადაც შევძლებდეთ დაშვებას თუ რუდოლფი დაბალი ღრუბლიანობით იქნება დაფარული. თვითმფრინავები სავსებით გამზადებულია. ეკიპაჟი ჯანსაღად და მხნედაა.

შეველიოვი.“

o

ჩრდილოეთის საზღვაო გზის სამმართველომ ყინულმჭრელ „კრასინზე“ მყოფი ექსპედიციის უფროსისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„რვა სექტემბერს, ექვს საათსა და ოცდაათ წუთზე მოსკოვის დროით, მინდორი, რომლის საფარქვეშ იდგა ზადკოვის თვითმფრინავი, უეცრად გაიბზარა. ოსტნორდოსტის ექვსბალიანი ქარის გავლენით მინდვრები სწრაფად შეიკუმშნენ და თვითმფრინავი გასრისეს. ეკიპაჟი უვნებლად გადარჩა. მთავარი მოწყობილობა ჩამოვხსენით. თვითმფრინავის გადარჩენა ვერ მოხერხდა. (საქდესი).

## „პასიურობისათვის“ გარიცხულთა აღდგენა პარტიაში

**მოსკოვი**, 8 სექტემბერი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტი და მოსკოვის რაიკომები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების საფუძველზე სერიოზულ მუშაობას ეწევიან ეგრეთწოდებული „პასიურობისა“ და ნაკლებმნიშვნელოვანი დანაშაულისათვის პარტიიდან გარიცხვისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

საერთო რიცხვიდან — მოსკოვის ორგანიზაციის 5.983 კომუნისტიდან, რომლებიც პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროს გარიცხული იქნენ „პასიურობისათვის“, აღდგენილია 3.675 კაცი. 96 ამხანაგს გარიცხვა შეეცვალა პარტიის კანდიდატად გადაყვანით, 207 ამხანაგს კი — თანამგრძნობად გადაყვანით. პარტიაში დაბრუნებული არიან ასობით ადამიანები, რომლებიც ღირსეულად ამართლებენ საკ. კ. პ. (ბ) წევრის მაღალ სახელწოდებას.

ბაბაევის სახელობის ფაბრიკის სტახანოველი ქალი ამხ. ფიოფანოვა (რკინიგზის რაიონი) გარიცხულ იქნა „როგორც პოლიტიკურად მოუმზადებელი“. პარტიაში აღდგენის შემდეგ მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი სწავლას, მეტ აქტიურობას იჩენს საწარმოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა აღნიშნა მთელი რიგი რაიკომების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა პასიურობისათვის პარტიიდან გარიცხულებთან, განსაკუთრებით პარტიის პერვომაისკის რაიკომისა, და რაიკომებს მისცა მითითება გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა პარტიის აღდგენილ წევრთა შორის, მეტი გულისხმიერებით და ყურადღებით მიუდგნენ გამორიცხულთ, არ შეაფერხონ აპელაციათა განხილვა, დააჩქარონ პარტდოკუმენტების გაფორმება და მიცემა პარტიაში აღდგენილთათვის.

# საბჭოთა კავშირში

## სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს თარგმნა ნაციონალურ ენებზე

**მოსკოვი**, 8 სექტემბერი (საქდესი). მთელ რიგ რესპუბლიკებში ინტენსიურად სწარმოებს მუშაობა სსრ კავ-ის ისტორიის სახელმძღვანელოს გადასათარგმნად ნაციონალურ ენებზე. ყაზანში დაიწყო სახელმძღვანელოს თარგმნა თათარულ ენაზე. სახელმძღვანელო გამოვა ოქტომბრის პირველ რიცხვებში. ჩებოქსარში ამჟამად სწარმოებს მუშაობა „სსრ კავშირის ისტორიის მოკლე კურსის“ გადასათარგმნად ჩუვაშთა ენაზე. სახელმძღვანელო აზერბეიჯანულ ენაზე ბაქოში განზრახული აქვთ გამოუშვან 1 ოქტომბრისათვის.

ენგელსში მწერალთა ბრიგადამ გერმანულ ენაზე გადათარგმნა სახელმძღვანელოს პირველი ექვსი ნაბეჭდი ფურცელი. მთელი თარგმანი დამთავრდება 12 სექტემბრისათვის.

კიევის გამომცემლობა „საბჭოთა სკოლამ“ დაამთავრა ახალი სახელმძღვანელოს თარგმნა უკრაინულ ენაზე. სახელმძღვანელოს გამოუშვებენ მაღალი ხარისხის ქაღალდზე 2 მილიონ ცალად.

## ჩოგბურთელთა სრულიად-საკავშირო პირველობის გათამაშება

**სარატოვი**. 8 სექტემბერი (საქდესი). დამთავრდა ჩოგბურთელთა სრულიად - საკავშირო პირველობის გათამაშება.

მამაკაცთა საერთეულო თანრიგის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველები კალმიკოვი და მაპინი. თამაში დამთავრდა კალმიკოვის მოგებით; მან სამსავე პარტიაში მიაღო ქულების ერთიდაიგივე რაოდენობა 6:2 პირველობა ქალთა საერთეულო თანრიგში მოიგო გორინამ (უკრაინა). საფინალო შეხვედრაში მან გაიმარჯვა კლიმოვაზე (როსტოვი). კალმიკოვი და გორინა გადაიყვანეს პირველ სრულიად-საკავშირო კატეგორიაში.

ქალთა საფინალო წყვილურ თამაშში მაკაროვამ და ტუტაევამ (სტალინგრადი) გაიმარჯვეს გორინასა და ჩუვირინაზე (უკრაინა).

საინტერესოდ ჩაიარა უკანასკნელმა შეხვედრამ მამაკაცთა წყვილურ თანრიგში. მოსკოველებმა მერკულოვმა და მაიკოვმა მოუგეს როსტოველ ჩოგბურთელებს კოტლოვსა და ჯინიტჩენკოს.

ყველა თანრიგში გამარჯვებულთ გადასცეს ძვირფასი ჯილდოები.

## გადაარჩინეს კოლმეურნეობის დოვლათი

**კიევი**, 8 სექტემბერი (საქდესი). კამენსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკში“ ცეცხლი გაუჩნდა ხორბლის 300 ურმეულ ზვინს. კოლმეურნეობის მორიგე დარაჯი— ჩუმაჩენკო არ დაიბნა, პირველი მივარდა კოლმეურნეობის დოვლათის გადასარჩენად და ამავე დროს იძლეოდა სიგნალებს უბედურების შესახებ.

განსაკუთრებული გულადობა გამოიჩინა მეზობელი არტელის „პობედის“ კოლმეურნემ ანტონ ვჩერაშნიმ. თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე მოელოდა, იგი მაინც ავიდა ცეცხლმოდებულ ზვინზე და იწყო ცეცხლის ქრობა. კოლმეურნეებმა გმირულად გადაარჩინეს კოლმეურნეობის 2 ათასზე მეტი ფუთი პური.

სოფლის საბჭოს პლენუმზე კოლმეურნეებმა მადლობა გამოუცხადეს და მისცეს პრემია.

## ამინდი პოლუსზე

**მოსკოვი**, 8 სექტემბერი (საქდესი). ყინული, რომელზეც მოწყობილია პოლარული სადგური „ჩრდილოეთის პოლუსი“, 8 სექტემბერს 13 საათზე იმყოფებოდა განედის 86 გრადუსსა და 34 წუთზე და დასავლეთ გრძედის 1 გრადუსსა და 30 წუთზე.

პოლუსზე უმნიშვნელო მაღალი ღრუბლიანობაა. ჰქრის 2-ბალიანი ძალის დასავლეთის ქარი. ხილვადობა 50 კილომეტრამდეა. ტემპერატურა მინუს 5 გრადუსი.

რუდოლფის კუნძულზე ნისლია. ხილვადობა 50 მეტრზე ნაკლებია. ჰქრის 2-ბალიანი ძალის სამხრეთის ქარი. ტემპერატურა პლუს 2 გრადუსი.

## ოპერა „შჩორსი“

**კიევი**, 9 სექტემბერი (საქდესი). უკრაინის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის ორგკომიტეტში მოსმენილ იქნა კომპოზიტორ ლიატოშინსკის ახალი ისტორიული ოპერა „შჩორსი“. ოპერის შესაქმნელად გამოყენებულია ისტორიული დოკუმენტები და მოგონებანი დივიზიის ლეგენდარული უფროსის შჩორსის ცხოვრებასა და ბრძოლაზე. ფართოდ არის გამოყენებული აგრეთვე ხალხური ფოლკლორი.

## ახალი წიგნები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტგამომცემლობამ გამოსცა მ. ი. კალინინის ბროშურა— „დებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ და საბჭოების ამოცანები“. ბროშურის ტირაჟია 500.000 ცალი. ამ დღეებში ბროშურა გამოვა გასასყიდად. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუსოლინი მიემგზავრება გერმანიაში

**რომი**, 8 სექტემბერი (საქდესი). კარგად ინფორმირებული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, მუსოლინი გერმანიაში გაემგზავრება 24 სექტემბერს და დაჰყოფს იქ 4-5 დღეს და არა ორ დღეს, როგორც წინათ იყო განზრახული. მთავრობის მეთაურთან ერთად გერმანიაში გაემგზავრებიან საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო, ფაშისტური პარტიის მდივანი სტარაჩე, ბეჭდვითი სიტყვის და პროპაგანდის მინისტრი ალფიერი, აგრეთვე მარშალი ბადოლიო და მუსოლინის სამი თანაშემწე სამხედრო სამინისტროს ხაზით.

## თურქეთის პრესის გამოხმაურება იუნეს ნადის პროვოკაციულ გამოსვლაზე

**ანკარა**, 8 სექტემბერი (საქდესი). დღეს გაზეთ „ულუსში" დაიბეჭდა ფელეტონი სათაურით „წყალქვეშა იქსი", რომელშიც ავტორი სწერს:

„ყველგან ძიებაში არიან. ამ ძიებაში, რომელიც გამოწვეულია არა იმდენად ჭეშმარიტების მონახვის სურვილით, რამდენადაც ადამიანთა ტვინის აფორიაქების სურვილით, ყველაზე უფრო ტენდენციურია ის მოსაზრება, რომელიც მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ. ხმელთაშუა ზღვაზე სხვა რა ინტერესები თუ არ თავისუფლებისა და უშიშროების ინტერესები შეიძლება ჰქონდეს საბჭოთა კავშირს, რომელიც ისწრაფვის უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა და დაამყაროს ჰარმონია ერთა ლიგის სისტემაში? წყალქვეშა პირატი ცდილობს მოსინჯოს ნიადაგი, რამდენად მტკიცეა უშიშროება. მისი მიზანია, დააშინოს ომით ისინი, ვინც მშვიდობიანობის საქმისათვის მუშაობს, და აიძულოს ისინი დაადგნენ დათმობათა გზას, რომლებიც მათი უფლებათა და ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული. ვნახოთ, შესძლებენ თუ არა მშვიდობიანობის მომხრე სახელმწიფონი გაერთიანდნენ რომელიმე ღონისძიების ირგვლივ, რომელიც დაამტკიცებს, რომ ინციდენტების შექმნით არაფრის მიღწევა არ შეიძლება. უახლოესი მომავლის ბედი დამოკიდებულია მათს გამბედაობასა და სიმტკიცეზე ამ საკითხში".

## რეიტერის სააგენტო ხმელთაშუა ზღვის კონფერენციის შესახებ

**ლონდონი**, 8 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩემბერლენი და იდენი გუშინ რამდენიმე საათს მსჯელობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს და საადმირალოს ექსპერტთა წინადადებებზე. ეს წინადადებანი შეტანილი იქნება კონფერენციაზე. როგორც სჩანს, განაგრძობს სააგენტო, იდენი ინგლისის მთავრობის სახელით შესძლებს განუცხადოს კონფერენციას, რომ კონფერენცია უნდა იყოს მოკლე, ხოლო მისი გადაწყვეტილებანი რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს. ერთი კვირა ითვლება ზღვრულ ვადად შეთანხმების მისაღწევად. შემდეგ სააგენტო სწერს, რომ კონფერენციის მოწვევის შესახებ წინადადების წამოყენების მომენტიდან ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის მჭიდრო კონტაქტია.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, აღნიშნავს რეიტერის სააგენტო, იტალია და გერმანია წარმოდგენილი იქნებიან ხმელთაშუა ზღვის კონფერენციაზე.

## აგრესორების საცდელი ხრიკი

**ჟენევა**, 8 სექტემბერი (საქდესი). იტალიის პრესის მიერ გავრცელებულმა ხმებმა, რომ ფაშისტური მთავრობები არ მიიღებენ მონაწილეობას ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კონფერენციაში, ერთა ლიგის წრეებში გაცხოველებული კომენტარიები გამოიწვია. ჟენევაში ამ ხმებს უყურებენ როგორც ცდას შანტაჟი გაუწიონ ბრიტანეთის მთავრობას. ჟენევაში აგრეთვე აღნიშნავენ, რომ იტალიის მთავრობამ დაიტოვა შესაძლებლობა მოიქცეს იმის მიხედვით, თუ როგორ გამოეხმაურებიან ინგლისი და საფრანგეთი იტალიის გაზეთების საცდელ ხრიკს. ყოველ შემთხვევაში ჰფიქრობენ, რომ იტალიელთა დასწრება ან დაუსწრებლობა ნაკლებ გავლენას მოახდენს კონფერენციის მუშაობის მსვლელობაზე, რამდენადაც, თუ უკანასკნელი ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ, ლონდონში მან უნდა იმუშაოს განსაკუთრებით ტექნიკურ საკითხზე ხმელთაშუა ზღვაში პირატულ მოქმედებათა წინააღმდეგ კოლექტიური გამოკვლევის საუკეთესო ფორმის შესახებ.

## ფაშისტური ტერორის კიდევ ერთი მსხვერპლი

**ბერლინი**, 8 სექტემბერი (საქდესი). გუშინ თავი მოჰკვეთეს გერმანიის არმიის ყოფილ ჯარისკაცს 24 წლის კრებსს, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი „სახელმწიფო ღალატში" ბრალდების გამო.

## ტრედუნიონების ყრილობაზე

**ნორვიჩი**, 8 სექტემბერი (საქდესი). ტრედუნიონების ყრილობაზე გენერალური საბჭოს მდივანი სიტრინი იცავდა ლეიბორისტული პარტიის ტრედუნიონების და მეორე ინტერნაციონალის ხაზს ესპანეთის საკითხში და დუმილით აუარა გვერდი ინგლისის მთავრობის პოლიტიკას.

ავეჯის ფაბრიკების მუშათა კავშირის წარმომადგენელმა ზაკმა მკაცრად გააკრიტიკა „ჩაურევლობის" პოლიტიკა და ინგლისის მთავრობის პოზიცია ესპანეთის ომში. მან აღნიშნა, რომ გერმანია და იტალია ეხმარებიან მეამბოხეებს, ინგლისის მთავრობა კი სოლიდარობას უცხადებს მეამბოხეებს. ზაკმა მოიყვანა ის ადგილი ამხანაგი სტალინის პასუხიდან ესპანეთის კომპარტიისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ესპანეთის განთავისუფლება არის არა ესპანელთა კერძო საქმე, არამედ მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის საერთო საქმე. ზაკმა მიუთითა რესპუბლიკური ესპანეთისადმი სუსტ დახმარებაზე ინგლისის მუშათა მხრით და მოუწოდა დელეგატებს გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, ამ დახმარების გასაძლიერებლად.

სიტრინის მიერ შეტანილი რეზოლუცია ესპანეთის ამბების საკითხზე მიღებულია არა ერთხმად.

მთელ რიგ სხვა რეზოლუციებთან ერთად, კონგრესმა უარჰყო რეზოლუცია ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის შესახებ.

## ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობებით)

### ცენტრალური ფრონტი

8 სექტემბერს მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე ფრანგული ხიდისა და სიერა დე აგილას რაიონში. ბრძოლა სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მეამბოხეებმა ვერ შესძლეს რესპუბლიკელთა ხაზის გარღვევა. მეამბოხეთა ჯარები იძულებული იყვნენ გამოსავალ პოზიციაზე დაბრუნებულიყვნენ.

### აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

სუერას სექტორში (სარაგოსის ჩრდილოეთით) 8 სექტემბერს რესპუბლიკელთა ნაწილებმა შესძლეს დაეკავებინათ ცალკეული პოზიციები სოფელ პუებლა დე ალბორტონის ირგვლივ (ბელჩიტის ჩრდილო-დასავლეთით), რომლებშიაც გამაგრებული იყვნენ მეამბოხეთა ჯგუფები. სოფელი მთლად გაწმენდილია მეამბოხეებისაგან.

### ჩრდილოეთის ფრონტი

8 სექტემბერს მეამბოხენი განაგრძობდნენ შეტევას სანაპიროს გასწვრივ. რესპუბლიკელები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ და დიდ ზარალს აყენებენ მეამბოხეებს.

სიერა დე კუერაში (ლიანესის სამხრეთით) გამართული ბრძოლების დროს მეამბოხეებს ათასზე მეტი კაცი დაუხოცეს.

7 სექტემბერს მეამბოხეთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ხიხონს. რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებელი შეებრძოლა მეამბოხეთა ავიაციას და ჩამოაგდო სამმოტორიანი „იუნკერსი". „იუნკერსის" ეკიპაჟი თვითმფრინავის დაცემის დროს დაიღუპა. დაღუპულ მფრინავებს უპოვეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

## ტროცკისტული ორგანიზაციების კავშირი გენერალ ფრანკოსთან

**ვენა**, 7 სექტემბერი (საქდესი). გაზეთი „ნაციონალ - ცაიტუნგი", რომელიც ბაზელში (შვეიცარია) გამოდის, ამხელს მეამბოხეთა აგენტების ჯაშუშურ და დივერსიულ საქმიანობას რესპუბლიკურ ესპანეთში და აღნიშნავს, რომ მადრიდში აღმოჩენილია გენერალ ფრანკოსთან ტროცკისტული პოუმის თანამშრომლობის დამამტკიცებელი დოკუმენტები. ამის თაობაზე გაზეთი აცხადებს: „ტროცკისტების ასეთი მჭიდრო დამობილება გენერალ ფრანკოსთან ესპანეთში ჩვეულებრივი მოვლენაა. დამახასიათებელია, რომ მაისის პუტჩის დროს, რომელიც ტროცკისტებმა და მონარქისტო ელემენტებმა მოაწყეს, ზოგიერთ შენობაზე ბარსელონაში გამოჩნდა ფაშისტური დროშები. ფაშისტური და ტროცკისტული ორგანიზაციების მჭიდრო კავშირს სრული სიცხადით ადასტურებს აგრეთვე ის, რომ ბევრ დაპატიმრებულ ფაშისტს აღმოაჩნდა ფაშისტური ორგანიზაციის პოუმის მოწმობები".

## „მეგობრობის ხელშეკრულება" იტალიასა და იემენს შორის

**რომი**, 8 სექტემბერი (საქდესი). ხელი მოაწერეს „მეგობრობის ხელშეკრულებას" იტალიასა და იემენს შორის (ეს ხელშეკრულება წარმოადგენს 1926 წელს დადებული ხელშეკრულების გაგრძელებას, რომლის ვადა ახლა გავიდა). იტალიის წრეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ ამ ხელშეკრულებას, ფიქრობენ რა, რომ აბისინიის დაპყრობა ჰქმნის ახალ შესაძლებლობებს იტალიის საქმიანობისათვის არაბეთის ნახევარკუნძულზე.

## ტყისა და დაცურების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენცია

საქართველოს ტყისა და დაცურების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკურმა კონფერენციამ კრიტიკისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. პირველ სხდომაზე საქ. რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. შახდინაროვი. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 35 კაცმა.

გამოირკვა, რომ ტყისა და დაცურების მუშაკთა კავშირის მუშაობაში მთელ რიგ მიღწევებთან ერთად ადგილი ჰქონდა სერიოზულ დეფექტებს; ირღვეოდა პროფკავშირული დემოკრატია, (თბილისის ჯგუფკომი, ადიგენი, ხაშური, ხეთა, მახარაძე), გავრცელებული იყო კოოპტაციის სისტემა, 1934-36 წლებში კოოპტაციის წესით პლენუმის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა 7 კაცი, მთელი 1935 წლის განმავლობაში პლენუმი არ ყოფილა მოწვეული, ხოლო შარშან პლენუმი მხოლოდ ორჯერ მოიწვიეს.

ადგილებზე სუსტი იყო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ჯალაბეთში, ჭიათურაში, მარელისის ფაბრიკაში, ხაშურში, აწყურში და სხვ. ჩაშლილი იყო პროფპოლიტსკოლების მუშაობა.

სატყეო უბნებში ძალიან სუსტად იყო გაშლილი სოცშეჯიბრი და დამკვრელობა. არ სწარმოებდა სტახანოველთა აღრიცხვა. ლანჩხუთის სატყეო მეურნეობის დირექტორი კიწმარაშვილი და ახალდაბის სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელები არ ზრუნავდნენ სტახანოველებზე.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ საქართველოს საკურორტო სამმართველოში მოკალათებული ხალხის მტრები მავნებლობას ეწეოდნენ და არ ზრუნავდნენ სატყეო მეურნეობის გარდაქმნაზე, ისინი კომბინატორებს აწყობდნენ სამუშაოზე.

სუსტად მუშაობდნენ მუშკომების სარევიზიო კომისიები, რის შედეგად გაფლანგულია დიდძალი თანხა. მაგალითად: ქუთაისის მუშკომში 2 ათასი მანეთი, ქვემო სვანეთის მუშკომში 2 ათასი მანეთი. გამფლანგველები აღმოჩენილ იქნენ აგრეთვე აბასთუმნის და ხეთის მუშკომებში და კავშირის საქ. რესპუბლიკურ კომიტეტშიც.

კონფერენციამ კავშირის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გაშლისათვის.

დასასრულს კონფერენციამ აირჩია კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი 22 კაცის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია და დელეგატები საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად.

**ვ. ნათელაშვილი.**

## თათბირი მოსავლის აღება-განაწილებისათვის მზადებაზე

**ზესტაფონი**, 9 სექტემბერი (ჩვენი საკ. კორ.). 8 სექტემბერს შესდგა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, სოფსაბჭოების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, სარევიზიო კომისიათა თავმჯდომარეების, მოანგარიშე-ბუღალტრების და აგროტექპერსონალის სარაიონო თათბირი. თათბირმა განიხილა საკითხი რაიონში მოსავლის აღება-განაწილებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, რაზედაც შინაარსიანი მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. პატარაიამ.

შეკრებამ, რომელშიაც 543 კაცი მონაწილეობდა, საქართველოს ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს ამხ. ბერიას გაუგზავნა მისალმება და იკისრა მოსავალი ბილობ 15 დღეში და უდანაკარგოდ. შეკრების მონაწილეებმა მოითხოვეს, რათა რაიონში პარტიისა და შინსახკომის ორგანოების ფხიზელი ყურადღების შედეგად გამოაშკარავებული ხალხის მტრების საჩვენებელი გასამართლება მოხდეს თვით ზესტაფონში.

**ვ. გოგიაშვილი**



ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი. სურათზე: პარკის ამომხვევი, სტახანოველი ქალი ამხ. თედორაძე, რომელიც გეგმას 110 პროც. ასრულებს.
ფოტო ბუდეშსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

## სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას შესწავლისათვის

## დიდი სიხარულის დღე ... კოლმეურნეობაში

(ვანი, ჩვენი საკ. კორესპონდენტი)

[illegible] მესაუბრე - წამკითხველები სისტემატურად აწარმოებენ საუბრებს კოლმეურნეობებში. რაიონში კარგი აგიტატორები და მესაუბრე - წამკითხველებია: ე. ხურციძე, კ. ნიკოლაიშვილი, გ. გაბუნია, შალვა ბიბილეიშვილი და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიონული კომიტეტი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების საკითხების ახსნა-განმარტების მიზნით მთელ რიგ კოლმეურნეობებში აწყობს პოლიტდღეებს.

რაიონული კომიტეტი და ადგილობრივი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ამაღლების კოლმეურნეობაში 15 დღით ადრე შეუდგნენ პოლიტდღისათვის მზადებას. კოლმეურნეებმა შემოიტანეს 277 შეკითხვა. აქედან 150 შეკითხვა ეხებოდა დებულების საკითხებს, დანარჩენი კი საკოლმეურნეო ცხოვრების, საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს.

კოლმეურნეებს აინტერესებდათ საკითხები:

„რატომ არის საჭირო ერთი ფერისა და ერთნაირი ფორმის ბიულეტენები და კონვერტები".

„შეიძლება თუ არა წერა-კითხვის არმცოდნე ამომრჩეველმა სხვა პირი დაიხმაროს".

„ვინ ადგენს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიას" და სხვ.

დიდი სიხარულის დღე იყო 1 სექტემბერი. 12 საათიდან კოლმეურნეები იკრიბებოდნენ დანიშნულ ადგილზე. ერთი საათის განმავლობაში 400-ზე მეტი კაცი შეიკრიბა, მოვიდა ამაღლების მოსწავლე ახალ[illegible]

[illegible] პოლიტდღის ჩატარებისას განსაკუთრებით დიდი აქტივობა გამოიჩინეს კოლმეურნეებმა: არ. ბოჭორიშვილმა, ალ. კაკაურიძემ, დ. მესხმა, ე. ხურციძემ და სხვ., რომლებმაც იკისრეს კარგად შეისწავლონ დებულება, საუკეთესოდ მოემზადონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის, კოლმეურნეებმა მოითხოვეს, რომ ასეთი პოლიტდღეები სისტემატურად მოეწყოს.

პოლიტდღის დამთავრების შემდეგ ვანის მომღერალთა გუნდმა ამაღლების კოლმეურნეებს გაუმართა კონცერტი.

ვანის რაიონში საუკეთესო აგიტატორებთან ერთად არიან შეუფერებლებიც. ისინი ზარმაცობენ და სისტემატურად არ ეწევიან მუშაობას კოლმეურნეებში. მაგალითად, სოფ. ზედაციხესულორის კოლმეურნეობაში ცუდი მესაუბრეა გრიგოლ ბურკაძე, ამავე კოლმეურნეობაში მესაუბრედ გამოყოფილი იყო თვალთმაქცი, ამჟამად კომკავშირიდან გარიცხული ვალიკო ბიჭიაშვილი. სოფ. ქვედა ვანის კოლმეურნეობაში სუსტად მუშაობენ მესაუბრე-წამკითხველები ლ. გაბუნია, ივ. ხელაძე და სანდრო ბელთაძე. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა კოლმეურნეობებშიც (ციხესულორის, ინაშაურის, ტობანიერის და სხვ.).

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომმა მომავალში კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მუშაობა იმისათვის, რომ რაიონში არ დარჩეს არცერთი მშრომელი, რომელიც ვერ ერკვეოდეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებაში.

**ნ. ჩადუნელი.**

## გამოფენისათვის მზადება არადამაკმაყოფილებელია

(რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა)

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილებამ ყველგან ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. ამ დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობები, საკოლმეურნეო ბრიგადები და მეცხოველეობის ფერმები ღებულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს და იბრძვიან მათი შესრულებისათვის.

— გამოფენასთან დაკავშირებით მოწყობილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ,—გვწერს ჩვენი ზესტაფონელი კორესპონდენტი ვ. გოგიაშვილი, — რაიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა სიმინდის ნათესებისა და ვაზის მოვლა. სიმინდი კოლმეურნეობათა უმეტესობაში გაითოხნა ოთხჯერ, ნაცვლად ორისა. ვაზი შეიწამლა 4-5 ჯერ. ვაზის ნამყენის გახარება რაიონში საშუალოდ 70 პროცენტს აღემატება. არგვეთის ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ვენახი 6-ჯერ შეწამლეს და სამჯერ გათოხნეს, წელს ჰექტარიდან საშუალოდ 50 ცენტნერ მოსავალს ელიან, შარშან კი 12 ცენტნერი მიიღეს.

— ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ, — დასძენს გოგიაშვილი,—იკისრა ყოველი ჰექტარიდან მიიღოს საშუალოდ 50 ცენტნერი ყურძენი და სიმინდის მოსავალი გეგმით გათვალისწინებულ 12 ცენტნერიდან აიყვანოს 13 ცენტნერამდე. ეს კოლმეურნეობა, რომელსაც სოცშეჯიბრებაში კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა ჰყავს გამოწვეული, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად.

გამოფენის კომიტეტის დადგენილებას ენერგიულად გამოეხმაურა ციხისჯვრის (ბორჯომის რაიონი) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ საბჭოთა მეურნეობაში, როგორც კორესპონდენტი ტ. ჩიქოვანი გვატყობინებს, გულდასმით განიხილეს გამოფენაში მონაწილეობის პირობები. ეს საკითხი დამუშავდა მწყემსების, მწველავი ქალების, მეხბორეების, ბრიგადირების, ფერმის გამგეებისა და ზოოვეტპერსონალის საერთო კრებებზე. მათ იკისრეს: მიიღონ წლიურად ყოველი საფურაჟე ძროხისაგან საშუალოდ 2.000-2.500 ლიტრამდე რძე, თვითეული ხბომოგებული ძროხის წველადობა აიყვანონ 2.500-3.000 ლიტრამდე, მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, სანიმუშოდ ჩაატარონ დაგრილების კამპანია და მოსპონ სიბერწე.

ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობის მეხბორეებმა აიღეს ვალდებულება მიაღწიონ იმას, რომ ხბო 6 თვემდე დღეღამეში მატულობდეს 700 გრამს, ხოლო 6 თვიდან ერთ წლამდე — 400 გრამს.

გამოფენისათვის მზადების დადებით მაგალითზე გვწერს აგრეთვე სოფლკორი ამხ. ხაინდრავა გეგეჭკორის რაიონიდან.

მაგრამ ყველგან ასე როდი ხდება. „კომუნისტის" რედაქციას თავისი სოფლკორებისაგან მოსდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ზოგან ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციები ფორმალურად, ბიუროკრატულად ეკიდებიან საკავშირო სას.-სამ. გამოფენისათვის მზადების საქმეს.

— სამხრეთ-ოსეთში, — გვწერს აგრონომი კ. თვალაშვილი, — მთელი რიგი კოლმეურნეობები ახლაც არ იცნობენ გამოფენაში მონაწილეობის პირობებს. საოლქო მიწსახკომი დღემდე ვერ ჩაუდგა სათავეში ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან გამოფენაში მონაწილეობისათვის ჭიათურის რაიონში. მართალია, აღნიშნული საკითხის განსახილველად რაიონული თათბირი მოიწვიეს, სოფლებზე ამხანაგებიც მიამაგრეს, ვალდებულებებიც აიღეს, მაგრამ მათ შესრულებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

— გამოფენაში მონაწილეობის პირობების დამუშავების დროს, — გვწერს კორესპონდენტი მ. გაფრინდაშვილი,—სოფ. სხვიტორის კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება 15 აგვისტომდე დაემთავრებინა თავთავიან კულტურათა როგორც აღება, ისე ლეწვა. სინამდვილეში კი არა თუ ლეწვა, არამედ მოსავლის აღებაც 20 აგვისტოსათვისაც არ ჰქონდა დამთავრებული.

ამავე რაიონის მახარაძისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა გამოფენისათვის მზადების წარმატებით ჩატარებისათვის ერთმანეთი სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს, მაგრამ დაივიწყეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. ამ კოლმეურნეობებში აღებული ხორბალი კალოებზე ჰყრია და გაულეწაობით ფუჭდება. არ გადაურჩევიათ სათესლე და არც ექსპონატები შეურჩევიათ.

— სოფელ კაცხის კეცხოველისა და წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობებს, — დასძენს მ. გაფრინდაშვილი, — გამოფენაში მონაწილეობის პირობების დამუშავება 14 აგვისტოს მოაგონდათ, ხოლო ენგელსის და მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობებში იგი ფორმალურად დაამუშავეს, ისე რომ არავითარი ვალდებულება არ უკისრიათ.

როგორც კორესპონდენტი მ. სააკოვი გვატყობინებს, ამავე რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა არა თუ გამოფენის პირობები, არამედ ისიც კი არ იციან, თუ როდის და სად მოეწყობა გამოფენა.

სოფ. დიდიჭყონის (გეგეჭკორის რაიონი) მესამე ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობაში გამოფენისათვის სუსტ მზადებაზე იწერება სოფლკორი ვ. გაგუა. ამ კოლმეურნეობამ გამოფენის პირობების დამუშავებისას აიღო ვალდებულებები, მაგრამ მათ არ ასრულებენ. კოლმეურნეობაში არღვევენ არტელის წესდებას, სუსტია დისციპლინა, კოლმეურნეთა შორის არ აწარმოებენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, ჩამორჩენილია ჩაის კრეფის გეგმის შესრულებაც.

ამ ფაქტებიდან ზემოაღნიშნული რაიონებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა საჭირო დასკვნები უნდა გამოიტანონ.

**ნ. ინაშვილი**

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორი

## დაუშვებელი თვითდინების ტყვეობაში

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი ძველებურად მუშაობს, ე. ი. გატაცებულია მხოლოდ სამეურნეო საქმიანობით და ყურადღებას არ აქცევს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეს. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებიდან და ამ პლენუმზე ამხანაგ სტალინის მიერ მოცემული უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მითითებებიდან რაიკომმა შესაფერისი დასკვნები ვერ გამოიტანა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიული განათლება ჩაშლილია. პარტიული სკოლებისა და წრეების რიცხვი ამ რაიონში არც ისე დიდია, რომ რაიკომმა ვერ შესძლოს წრეების სისტემატური დათვალიერება, მათი მუშაობის შესწავლა და მათთვის დახმარება. რაიკომის ცნობებით აქ სულ 40 პარტიული სკოლა და წრე არსებობს. ამ რიცხვში შედის ისეთი წრეებიც, რომლებმაც მეცადინეობა დიდიხანია შესწყვიტეს. მდგომარეობის ასე გაგრძელება შეუწყნარებელია. თელავის რაიკომმა პირი უნდა იბრუნოს პოლიტიკურ - აღმზრდელობითი საკითხებისაკენ, უნდა შეავსოს ის ნაკლი, რაც მის მიერ პოლიტსკოლებისადმი სუსტი ხელმძღვანელობითა და თვითდინებაზე დაყრდნობითაა გამოწვეული. ხოლო ეს ნაკლი შემდეგში მდგომარეობს:

თელავის მტს-ის პარტორგანიზაციასთან არსებულ ნორმალური ტიპის პოლიტსკოლაში (პროპაგანდისტი სიხარულიძე) 15 ივლისიდან დღემდე მეცადინეობა არცერთხელ არ შემდგარა. ადგილობრივი ამხანაგები ამ მდგომარეობის ასახსნელად ასეთ პასუხს იძლევიან: „მთელი დრო სამეურნეო საქმიანობას დასჭირდა, პარტიული სწავლებისათვის ვერ მოვიცალეთო". სხვათაშორის, ასეთი პასუხი ხშირად გაისმის წრეებში გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომაზე და ზამთარშიაც. წლის ოთხივე დრო დატვირთულია შესაფერისი სამეურნეო სამუშაოებით. მაშასადამე, დასახელებული განმარტება რომ საპატიო მიზეზად ჩავთვალოთ, მაშინ ხელი უნდა ავიღოთ პარტიულ სწავლებაზე. რა თქმა უნდა, დროის უქონლობაზე წუწუნი იმის მაჩვენებელია, რომ ამ პარტორგანიზაციამ ვერ შეაფასა პარტიული სწავლება. ბოლშევიზმის დაუფლების ლოზუნგი. მას არ ესმის, რომ პარტიული სწავლება ზრდის მასების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს, საწარმოო აქტივობას, ჰქმნის შრომითს ენტუზიაზმს.

ის, რაც ითქვა თელავის მტს-თან არსებულ პოლიტსკოლაზე, სავსებით შეეხება საკანდიდატო სკოლასაც, რომელიც ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობასთან არსებობს. აგვისტოში აქ ერთი მეცადინეობაც არ ჩატარებულა.

ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე სოფ. ფშაველში არსებული ნორმალური ტიპის სკოლაში. აქ აგვისტოს განმავლობაში მხოლოდ ერთი მეცადინეობის მოწყობა მოახერხეს.

არის უფრო აღმაშფოთებელი ფაქტებიც. მაგალითად, სოფ. მატანში პოლიტმეცადინეობა სამი თვის განმავლობაში არ შემდგარა.

ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ რაიკომი განზე უდგას პარტიულ სწავლებას, არ იცნობს პროპაგანდისტებს. დარღვეულია მითითება თვითეულ პროპაგანდისტზე სპეციალური საქმის შედგენის შესახებ და სხვ.

პარტკაბინეტი არ ზრუნავს იმისათვის, რომ პროპაგანდისტებს მეთოდური დახმარება გაუწიოს. პროპსემინარები (სულ 6) მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. 1937 წლის იანვრის შემდეგ პროპსემინარი ერთხელაც არ შემდგარა.

დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობაა რაიონის პარტიული აქტივის სემინარის მუშაობაშიც. იანვრიდან დღემდე აქ მეცადინეობა 14-ჯერ ჩაიშალა.

მაგრამ თელავის რაიონი ჩამორჩება არა მარტო პარტიულ სწავლებაში, მას მოუგვარებელი აქვს აგიტაციის დაყენების საქმეც, პირადი საქმეები არც აგიტატორებზეა შედგენილი. რაიკომს არ შეუსწავლია ცალკეული აგიტატორების მუშაობა, არ მოუსმენია მათი მოხსენება რაიკომის ბიუროზე და არ განუზოგადებია ცალკეული აგიტატორებისა და მესაუბრე - წამკითხველების გამოცდილება.

რაიკომმა ვერ შესძლო განხორციელებინა თავისი დადგენილება აგიტატორთა აქტივის სემინარის მოწყობის შესახებ. სემინარის წევრთა სია ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში შეადგინეს, მაგრამ სია სიად დარჩა, მეცადინეობა კი ერთხელაც არ შემდგარა.

იმის გამო, რომ რაიკომი აგიტკოლექტივების სემინართა მიმართ ყოველდღიურ მზრუნველობას არ იჩენს, გახშირებულია გაცდენები. მაშინ, როდესაც აგიტკოლექტივის სემინარი თვეში სამჯერ მაინც უნდა ეწყობოდეს, ეწყობა ერთხელ ან, სულ ბევრი, ორჯერ.

როგორც სჩანს, რაიკომს ყოველდღიური აგიტაცია საპატიო საქმედ არ მიაჩნია. აბა რით აიხსნება ის გარემოება, რომ რაიონში აგიტატორები 5-6 დღეში მხოლოდ ერთხელ ეწევიან აგიტაციას. მაგალითად, სოფ. ფშაველის კოლმეურნეობაში, სადაც 150 მუშა-ხელია, მხოლოდ ორი აგიტატორი მუშაობს: გრიშა როსტომაშვილი და სოლიკო ქოჩიშვილი. არცერთი მათგანი არ ეწევა აგიტაციას თვეში 4-ჯერ მეტად, ხოლო როსტომაშვილს 20 ივნისის შემდეგ აგიტაცია სულაც არ ჩაუტარებია. აგიტაციისადმი ასეთ დამოკიდებულებას საერთო არაფერი აქვს პარტიის პოლიტიკასთან.

აგიტაციის შეუფასებლობა არა მარტო ამ კოლმეურნეობაშია, ასეთივე მდგომარეობაა სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაშიც. აქ 450-ზე მეტი მუშა-ხელია. მთელ კოლექტივს მომსახურებას უწევს 2 აგიტატორი და სამი წამკითხველ-მესაუბრე. წამკითხველები სამნიშვილი და თათულოვი თვეში მხოლოდ 5-ჯერ აწყობენ გაზეთების წაკითხვას. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობაა სოფ. იყალთოს კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში".

მსგავსი მაგალითების მოყვანა რაიონის სხვა მრავალი კოლმეურნეობიდანაც შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ თელავის რაიონში სააგიტაციო მუშაობა სუსტად არის დაყენებული, რომ საარჩევნო დებულების საკითხებზე აგიტატორები სისტემატურ საუბრებს არ მართავენ.

რას აკეთებს ამ დროს რაიკომის პარტკაბინეტი? არაფერს. ის ვერავითარ მომსახურებას ვერ უწევს აგიტკოლექტივებს, პროპაგანდისტებს, სემინარებს. პარტკაბინეტს პროპაგანდისტების დასახმარებლად 1937 წელს არ ჩაუტარებია არც ერთი მოხსენება, ლექცია, კონსულტაცია, საუბარი. პარტკაბინეტის გამგემ უნდა დაარღვიოს დანაშაულებრივი დუმილი, რომელიც აქ დღემდე იყო გამეფებული და ხელი მოჰკიდოს პროპაგანდისტთა-და აგიტატორთა მომსახურებას. მან მიუთითებლადაც უნდა იცოდეს, რომ პარტკაბინეტის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული პარტიული სწავლებისა და ძირეული აგიტაციის ხარისხი.

ასევე დანაშაულებრივ დუმილს იჩენს რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა". როგორღა არის ის კოლმეურნის ხმა, როცა სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ კოლმეურნეებს მისგან არაფერი სმენიათ. ამა წლის იანვრიდან დღემდე გაზეთმა „კოლმეურნის ხმამ" აგიტაცია - პროპაგანდის საკითხებზე მხოლოდ 4 წერილი მოათავსა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ გაზეთმა სრულიად დაივიწყა თავისი პირდაპირი მოვალეობა, არ ასრულებს იმას, რაც მას პარტიამ დაავალა. საკვირველი ის არის, რომ რაიკომი დიდხანს ითმენს ამ ყოვლად უმსგავსო, არანორმალურ მდგომარეობას. თელავის პარტორგანიზაციას ოპორტუნისტული დუმილი არ ეპატიება, და რაც უფრო მალე დააღწევს იგი თავს ამ სამარცხვინო სენს, მით უფრო მალე გამოასწორებს მდგომარეობას, მით უფრო მალე მოახდენს სამარცხვინო ჩამორჩენის ლიკვიდაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უდარდელობა მზრალად ხვნაში

[illegible]

...საქართველოს კოლმეურნეობებში მზრალად მოხნული იყო მხოლოდ 10.204 ჰექტარი, რაც გეგმის 4 პროცენტს არ აღემატება. 48 რაიონიდან მზრალად ხვნა ამავე რიცხვისათვის მხოლოდ 11 რაიონს ჰქონდა დაწყებული და, სამწუხაროდ, არც ამ რაიონებში არის გეგმა შესრულებული.

ახალქალაქის რაიონს, რომელიც სხვებთან შედარებით თითქოს წინ მიდის, 23.000 ჰექტარიდან პირველ სექტემბრისათვის მზრალად 6.163 ჰექტარი ჰქონდა მოხნული. ალბუ- [illegible]

[illegible] წყობენ ძირეული რგოლების ოპერატიულ ხელმძღვანელობას და დახმარებას, სრული დატვირთვით და გეგმიანად გამოიყენებენ მთელ მუშა-ხელს, ტრაქტორებსა და ცოცხალ გამწევ ძალას და გააძლიერებენ ბრძოლას კლასობრივი მტრების ნაბოლარების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ ჩაშალონ იმ ღონისძიებათა გატარება, რაც მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისაკენ არის მიმართული.

**ტ. აცანელი.**

## „...და საქმეში ჩააკერეს"

23 ივლისს „კომუნისტი" სიგნალს აძლევდა ცაგერის რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს გამოესწორებინათ დიდი ჩამორჩენა, რაც მათ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საქმეში აქვთ. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი ამის შემდეგ მაინც დაიძვრიდნენ ადგილიდან და გაშლიდნენ ბრძოლას გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა.

რაიმიწგანის გამგის მოადგილის ინსპექტორი გუგავას და უფროსი აგრონომის ჭანკვეტაძის განცხადებას თუ დავუჯერებთ, რაიონის ყველა კოლმეურნეობა ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში. ნამდვილად კი ასე არ არის. მიწგანს არავითარი ცნობა არ მოეპოვება გამოფენისათვის მზადების მიმდინარეობაზე კოლმეურნეობებში. კარგად არ იციან, სად რა ვალდებულებანი იკისრეს და ვინ ვის ეჯიბრება.

საქმიწსახკომის ამხ. ამბერკი კეკელიას ამა წლის 1 აგვისტოს ბრძანება № 25—525 საქმეში ჩააკერეს და აქედან არავითარი დასკვნა არ გააკეთეს.

რაიონის არცერთ კოლმეურნეობაში არ გამოუყვიათ პასუხისმგებელი პირები ექსპონატების შესარჩევად, მიუხედავად იმისა, რომ ექსპონატების შერჩევის დრო უკვე დადგა. ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ გამოფენის ხელისშემწყობი სარაიონო კომიტეტი რაიალმასკომის პრეზიდიუმმა მხოლოდ 24 აგვისტოს გამოჰყო.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ამ ფაქტებიდან დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს საჭირო დასკვნები, დაყოვნება შეუწყნარებელია.

**გ. ყურაშვილი.**

## გასაწვევ უბნებზე მიწერა [illegible]ით მიმდინარეობს

([illegible] თელავის რაიონიდან)

[illegible]

ახასიათებს: პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კოოპკავშირმა და ქალაქის კოოპერაციამ წვევამდელთა მომსახურების საქმე თვითდინებას მიანდეს, სამხედრო წერტში 8 აგვისტოს ფარდული და სასადილო მხოლოდ ფორმალურად გახსნეს. ამჟამადაც პროდუქტები იქ ძალიან ცოტაა და თან ძვირია, მაშინ როდესაც კოოპერაციის მუშაკებს წვევამდელთა წესიერი მომსახურების ყოველგვარი შესაძლებლობა აქვთ.

პროფკავშირული ორგანიზაციები ხომ მთლად უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ მიწერის საქმეს. დღემდე არცერთი კავშირის წარმომადგენელი არ დაინტერესებულა მიწერის მიმდინარეობით, და არც არავითარი მუშაობა ჩაუტარებიათ. იგივე უნდა ითქვას რაიალმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მუშაკებზედაც. წვევამდელებთან მათ ჯერჯერობით არავითარი მუშაობა არ [illegible]

## მარელისის ფაბრიკა ცუდად მუშაობს

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა უხეირო ხელმძღვანელობის შედეგად სამარცხვინოდ ჩამორჩა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმით უნდა დამზადებულიყო 78.600 ცალი ვენური სკამი, ფაქტიურად დაამზადეს 55.351, — გეგმის 70,42 პროცენტი. ფაბრიკაში დღემდე ვერ აღმოფხვრეს გაცდენები, რაც, უმთავრესად, გამოწვეულია ნედლი მასალის უქონლობით. მეორე დამამზადებელი საამქრო წებოს უქონლობის გამო ივლისსა და აგვისტოში გაცდა 7 დღეს. ამან გამოიწვია სხვა საამქროების გაჩერება. სახეხი საამქრო, რომლის მუშაობა მთავარია, სანახევროდ გაჩერებულია.

ა.-კ. რკინიგზის ხაშურის განყოფილება ვაგონებს არ აწვდის ფაბრიკას, რის გამო ნედლი წიფლის მასალა სადგურ მარელისში ხმება და უვარგისი ხდება გადამუშავებისათვის. ხოლო რკინიგზის ზოგი მუშაკი აშკარა უპასუხისმგებლოდ, დაუდევრად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას. მაგალითად, სადგურ მარელისის მორიგე შავიძემ 24 აგვისტოს ფაბრიკაში გაგზავნა 3 ვაგონი მორი, მაგრამ შემადგენლობას თან არ გააყოლა მეისრე, არც ჩიხის გასაღები გაუტანებია, ამიტომ ჩიხი ვერ გააღეს, და ვაგონების ფაბრიკაში დატოვება რომ ვერ მოხერხდა, მორებით დატვირთული ვაგონები ხარაგოულში წაიღეს... ამით ფაბრიკაში საამქროები ორ დღეს გაცდნენ.

იმისათვის, რომ ფაბრიკა უზრუნველეყოთ ნედლეულით, ბაღდათის რაიონში გახსნეს სახერხი ქარხანა, მაგრამ იგი ფაბრიკას დიდ ზარალს აძლევს.

მუშაობის უკეთ წარმართვისათვის მარელისის ფაბრიკიდან ბაღდათში მივლინებულ იქნა ი. აბრამიშვილი მაგრამ ვერც იმან გამოიჩინა უნარი. იგი ფაბრიკას უგზავნის სრულიად უვარგის მასალას. 23 აგვისტოს ბაღდათიდან მიღებულ იქნა ორი ვაგონი ლარტყა 36 კუბ. მეტრის რაოდენობით, აქედან ვარგისი მხოლოდ 30% აღმოჩნდა, დანარჩენი კი დამპალი და გაფუჭებული იყო. ეს ხდება იმიტომ, რომ ბიუროკრატები თვეობით აგვიანებენ მასალის გადმოზიდვას.

აღნიშნული ლარტყების ჩამოტანა ბაღდათიდან მარელისის ფაბრიკამდე დაჯდა 2.520 მანეთი, სკამებისათვის გამოსადეგი მასალა აღმოჩნდა მხოლოდ 520 მანეთისა, 2000 მანეთი კი ტყუილად დაიხარჯა. ასეთი მუშაობის შედეგად ფაბრიკას რამდენიმე ათასი მანეთი გადახარჯვა აქვს.

მარელისის ფაბრიკა უნდა გაიწმინდოს ბიუროკრატებისა და მავნებლებისაგან.

**ქ. შარიძაძე.**



გურული ხალხური გუნდი ვ. სიმონიშვილის ხელმძღვანელობით.

საქ. სახკომსაბჭოს ფოტო.

## გურული ხალხური გუნდი

უკვე გამართა კონცერტები მახარაძის რაიონის გურულმა ხალხურმა გუნდმა ამხ. ვ. სიმონიშვილის ხელმძღვანელობით. კონცერტებს ყველგან მრავალი მაყურებელი დაესწრო. ხალხი ამ კონცერტებს აღტაცებით ხვდებოდა; განსაკუთრებით მოსწონდათ სიმღერები: „გაზაფხული", გაკეთებული თვით სიმონიშვილის მიერ, „ხასან-ბეგური", — კრიმანჭულის ოთხი მომღერლის მიერ ოსტატურად შესრულების გამო, „სიმღერა ბელადზე", საჩონგურო სიმღერა, შეთხზული სიმონიშვილის მიერ და სხვ.

გუნდი კარგად ასრულებს გურულ მასობრივ ცეკვებს: ფერხულსა და ხორუმს. თუ სამეგრელოს ახასიათებს ლირიკა, ქართლ - კახეთს მელოდიური სიმღერები, რაჭალეჩხუმს და სვანეთს მგზავრული და საფერხულო სიმღერები, გურიას ახასიათებს კონტრაპუნქტი, — ისეთი სიმღერები, სადაც ყოველი ხმა, პირველი, მოძახილი და ბანი დამოუკიდებელ მელოდიას წარმოადგენს; ხოლო თავისი მდიდარი კრიმანჭულით გურია მოგვაგონებს ტიროლს, სადაც სპეციალისტების გამოკვლევით ყოველ სიმღერას ახლავს კრიმანჭული, ეს თავისებური კოლორატურა.

იშვიათად შეხვდებით გურიაში ისეთ სოფელს ან კოლექტივს, რომ იქ მომღერალთა გუნდი არ არსებობდეს. მაგრამ მახარაძის რაიონის გუნდი წინათაც ყველაზე ძლიერი მხატვრული ერთეული იყო და ახლაც ასეთია. ამ გუნდს დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი ხელმძღვანელი ამხ. ვ. სიმონიშვილი ამ საქმის კარგი პედაგოგია. ყველა სხვა გურული გუნდი მას ჰბაძავს მუშაობაში.

— გურული სიმღერების ოსტატობაში, მათს დაცვასა და სწორად გადაცემაში ამხ. ვ. სიმონიშვილს ტოლი არა ჰყავს გურიაში,—ამბობს გუნდის წევრი მ. ჯინჭარაძე. ამავე აზრისა არიან გუნდის სხვა წევრებიც.

გუნდისა და პირადად სიმონიშვილის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა სათანადო კადრებს; გუნდი ასე ვთქვათ გურული სიმღერების ლაბორატორიას წარმოადგენს.

გუნდის ზოგიერთ წევრს ჰყავს ცალკე საგუნდო ერთეული კოლმეურნეობაში ან სკოლაში; უშუალო ხელმძღვანელობას და კონსულტაციას ისინი ისევ სიმონიშვილისაგან ღებულობენ.

ძველ კადრებთან ერთად ამხ. სიმონიშვილს თავისი გუნდი ახალგაზრდებით გაუძლიერებია; ეს კარგია, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ უფრო მეტ ახალგაზრდობას უნდა დაეთმოს გუნდში ადგილი. გუნდს უნდა დაემატოს კიდევ თხუთმეტამდე მომღერალი. გარეგნულად, ჩაცმულობის მხრივ, გუნდი ძველთან შედარებით კარგად გამოიყურება, მაგრამ არც ეს კმარა, გუნდი ამ მხრივ კიდევ უკეთ უნდა მოეწყოს, განსაკუთრებით მეჩონგურე ქალთა ფრთა.

გურული სიმღერების რეპერტუარი ამოუწურავია; გურიაში ყოველ საყოფაცხოვრებო მოვლენაზე თავისი სიმღერაა შექმნილი. დღესაც ჰქმნიან შრომის სიმღერებს: „ჩაის ბუჩქის კრეფა", რომელსაც გუნდი ჩონგურზე ასრულებს და სხვ.; ყველა ახალი სიმღერა უნდა აითვისოს გუნდმა.

— გუნდის დღევანდელ შემადგენლობასთან სულ რაღაც ათიოდე თვეა, რაც ვმეცადინეობ,—ამბობს სიმონიშვილი, — ცოტა რამ მოვასწარი, სამუშაო კი ბევრია, ჯერ მეოთხედიც არ გაგვივლია იმისა, რაც უნდა გავაკეთოთ.

ჩვენც იმედი გვაქვს, რომ გუნდი უფრო გაორკეცებული ენერგიით ეცდება იმუშაოს და მომავალ ოლიმპიადაში უფრო გაძლიერებული რეპერტუარით მოგვევლინოს.

**ლადო გეგეჭკორი.**

## დადგენილება

### საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

#### საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულად ამხ. მ. ა. პატარაიას დანიშვნის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მარგარიტა ალექსანდრეს-ასული პატარაია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში.

**საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობათა დროებითი ამსრულებელი გ. სტურუა.**

**საქართველოს სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობათა ამსრულებელი გ. გოჩაშვილი.**

1937 წ. სექტემბრის 4.
ქ. თბილისი.

## კორნილოვის აჯანყების განადგურება

### (1917 წლის 7—12 სექტემბერი)

1917 წ. ივლისის დღეებში კონტრრევოლუციამ დაამყარა სამხედრო დიქტატურა. შემთანხმებელთა გამცემლურმა ტაქტიკამ ივლისის დღეებში ხელფეხი გაუხსნა კონტრრევოლუციის ძალებს. ბურჟუაზიამ გაანადგურა მუშათა დემონსტრაცია პეტროგრადში, იატაკქვეშეთში ჩარეკა ბოლშევიკების პარტია.

პროლეტარიატმა ივლისის დღეებში განიცადა დამარცხება, მაგრამ არ ყოფილა განადგურებული. ბოლშევიკების პარტიამ არ დაუშვა მისი პროვოცირება, მან აიცილა მასებს ბურჟუაზიის ლახვარი. ორგანიზებულმა უკანდახევამ შეამჭიდროვა პროლეტარიატი.

ბურჟუაზიამ მენშევიკების და ესერების ხელით მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ ეს პიროსის გამარჯვება იყო. მენშევიკებმა და ესერებმა ივლისის დღეებში საბოლოოდ ცხადჰყვეს, რომ ისინი არიან რევოლუციის გამცემლები და ჯალათები. მასებმა ზურგი შეაქციეს მათ. მასები მოითხოვდნენ ზავს. ჯარისკაცები უარს ამბობდნენ ეომნათ. მაგრამ ომი გრძელდებოდა. გლეხები მოითხოვდნენ მიწას. დროებითი მთავრობა სამხედრო ძალით აქრობდა გლეხთა მოძრაობას. მასები მოითხოვდნენ პურს, მაგრამ კაპიტალისტები ხურავდნენ საწარმოებს და ქუჩაში ჰყრიდნენ მუშებს. ეკონომიური ნგრევა ქვეყანაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მასები იგებდნენ, რომ დროებითი მთავრობის დაუმხობლად რევოლუციის არცერთი ძირითადი საკითხი არ გადაიჭრებოდა.

არ იყო ისეთი ძალა, რომელსაც შეძლებოდა რევოლუციური მასების მოძრაობის ზრდის შეჩერება. კონტრრევოლუცია აშკარად ალაპარაკდა რევოლუციის სწრაფი განადგურების აუცილებლობაზე. დაიწყო მზადება გადატრიალებისათვის. ძალაუფლებისათვის ბრძოლის მთავარ იარაღად ბურჟუაზია ამზადებდა არმიას. ეს იარაღი რომ მისი მორჩილი ყოფილიყო, მან მბრძანებელ მაღლობებზე თავისი ხალხი დააყენა.

18 ივლისს უმაღლეს მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი კორნილოვი, რომელმაც ფრონტზე შემოიღო სიკვდილით დასჯა. იგი ხვრეტდა სამხედრო ნაწილებს, რომლებიც უარს ამბობდნენ შეტევაზე.

ბურჟუაზიული პრესა ქებადიდებას ასხამდა კორნილოვს. იგი მას უქმნიდა გმირის სახელს, თუმცა მან კარგად იცოდა, თუ რა „გმირი" იყო ეს კორნილოვი. სარდლობდა რა არმიას, მან ომის დროს ვერ მოაწყო თავისი პოლკების უკანდახევა. მან ხაფანგში მოამწყვდია თავისი დივიზია, თვითონ კი შტაბთან ერთად დასტოვა დივიზია. ბურჟუაზიამ იცოდა ეს, მაგრამ მას აკმაყოფილებდა კორნილოვის სხვა თვისებები — მისი კონტრრევოლუციური „დამსახურება" მუშათა დემონსტრაციების წინააღმდეგ ბრძოლაში და, ემზადებოდა რა რევოლუციის გასანადგურებლად, მან თავის ბელადად კორნილოვი აირჩია. კადეტები მოქმედებდნენ ანტანტის იმპერიალისტებთან შეთანხმებით, რომელნიც მხარს უჭერდნენ ამბოხებას. კორნილოვს სამხედრო დიქტატორად ამზადებდნენ. კორნილოვის ირგვლივ იკრიბებოდა კონტრრევოლუციის ყველა ბნელი ძალა. ბანკები ამარაგებდნენ მას ფულით. დროებითი მთავრობა ხელს უწყობდა კონტრრევოლუციის მოწყობას.

3 აგვისტოს მოსკოვში შეიკრიბა საერთო - სამრეწველო ყრილობა, 12 აგვისტოს კი—სახელმწიფო თათბირი, მოწვეული მენშევიკებისა და ესერების მიერ,—კონტრრევოლუციის ფაქტიური შტაბი. თათბირის შემადგენლობამ განსაზღვრა მისი დედაარსი. თათბირზე შეიკრიბნენ გენერლები, მეთაურთა შემადგენლობის ზედაფენა, კადეტი პროფესორები, არქიელები, მოხელეები, ბურჟუაზიის წარმომადგენლები რიაბუშინსკის მეთაურობით, სწორედ იმ რიაბუშინსკის, რომელიც ხალხის მასებს შიმშილითა და სიღატაკით ემუქრებოდა. ბოლშევიკები თათბირზე არ დაუშვეს.

ამ თათბირზე კორნილოველებმა გაშალეს თავისი პროგრამა რევოლუციის განადგურებისა, და ეს პროგრამა მიიღო დროებითმა მთავრობამ. კადეტებს უნდოდათ ამ თათბირისთვის შეერჩიათ კონტრრევოლუციური გადატრიალების დრო.

მაგრამ ბოლშევიკების პარტიის მოწოდებით მოსკოვში თათბირის გახსნის დღეს გაიფიცა 400.000 მუშა. გაჩერდა ფაბრიკები და ქარხნები, მოძრაობა ჩაკვდა ქალაქში. კონტრრევოლუცია შედრკა, იგი იძულებული გახდა უკან დაეხია—განზრახული გადატრიალება აშკარად ჩაიშალა. მაგრამ რეაქციას არ აუღია ხელი თავის გეგმებზე. იგი განაგრძობდა რევოლუციის განადგურების მომზადებას.

„ყველგან იქმნებოდა ფარული საზოგადოებანი, სადაც პირველ რიგში აბამდნენ ოფიცრობას და სამხედრო სასწავლებელთა იუნკრების კადრებს. დედაქალაქი ავსილი იყო ფარული კავშირებით, რომლებიც მზად იყვნენ შიგნიდან დაეჭირათ მხარი კონტრრევოლუციისათვის. როგორც კი ქალაქს მიუახლოვდებოდა შეიარაღებული ძალა" („სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორია", გვ. 328).

თავისი გამარჯვების უზრუნველსაყოფად, კორნილოვი არ შეჩერებულა სამშობლოს ღალატის წინაშე — მან გერმანელებს გადასცა რიგა და მტერს გაუხსნა გზა პეტროგრადისაკენ. რიგის გადაცემა მათ უნდოდათ ბოლშევიკებისათვის დაებრალებინათ. ბურჟუაზია ბევრს ცდილობდა პროვოკაციულად გამოეწვია პროლეტარიატის გამოსვლა, რათა მით უფრო ადვილად გაენადგურებინა იგი. „შესაძლებელ გართულებასთან" დაკავშირებით კი დედაქალაქი ავსილი იყო ოფიცრებითა და ყაზახებით. პეტროგრადისაკენ დაიძრნენ კორნილოვის ჯარები, მესამე ცხენოსანი კორპუსი, სადაც შედიოდა „ველური დივიზია" და კავკასიის პირველი ცხენოსანი კორპუსი. დროებითმა მთავრობამ და კერენსკიმ იცოდნენ, თუ როგორ მიმდინარეობდა გადატრიალების მთელი ეს მზადება.



„ველური დივიზიის" ნაწილების დაძმობილება რევოლუციურ ჯარისკაცებთან კორნილოვის აჯანყების დროს 1917 წ. აგვისტოში.

რეპროდუქცია „სოიუზფოტოს" საქ. განყ.

კორნილოვი, კალედინი, როძიანკო ემზადებოდნენ პროლეტარიატის სისხლში ჩაეხრჩოთ რევოლუცია. კერენსკი ყოველნაირად ეხმარებოდა კორნილოვს—პეტროგრადის განთავისუფლებაში რევოლუციური პოლკებისაგან. გენერალ კრიმოვს, ყაზახთა მე-3 პოლკის მეთაურს წინადადება მიეცა მალე დაძრულიყო პეტროგრადისაკენ, — განეიარაღებინა პეტროგრადის გარნიზონის ნაწილები, გაერეკა საბჭოები, განეიარაღებინა რევოლუციური კრონშტადტელები.

ბოლშევიკებმა ფეხზე დააყენეს მასები რევოლუციის დასაცავად, ისინი სათავეში ჩაუდგნენ მასების ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

კერენსკის შეეშინდა მასების. იგი მიხვდა, რომ კორნილოვის გამოსვლა აამოძრავებდა მასებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და ისინი კორნილოვთან ერთად მასაც გაანადგურებდნენ. კერენსკიმ გადასწყვიტა მოეხდინა მანევრირება და „მიეღო ზომები" მეამბოხის წინააღმდეგ.

კერენსკი, რომელსაც მხარი დაუჭირა საბჭოების სრულიად - რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, ცდილობდა მოეწყო პეტროგრადის თავდაცვა. მაგრამ ერთადერთი ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ეს, ბოლშევიკები იყვნენ. ბოლშევიკებმა მოაწყვეს დედაქალაქის დაცვა. კორნილოვის ჯარებთან შესაბმელად დაიძრა რევოლუციის მრისხანე ძალა.

„ყველგან დაიწყო მუშათა რაზმების შექმნა. მთელ რიგ ადგილებში მოეწყო რევოლუციური კომიტეტები...

კორნილოველთა წინააღმდეგ გაიგზავნა ბოლშევიკური წითელი გვარდიის რაზმები, პეტროგრადთან ითხრებოდა სანგრები და კეთდებოდა მავთულხლართები. საჩქაროდ შოულობდნენ იარაღს, სდგებოდა რაზმები, იბეჭდებოდა მილიონობით ფურცლები...

კორნილოვის ჯარებში დაიწყო აგიტაცია.

რკინიგზელები ანგრევდნენ ლიანდაგს და ყოველნაირად აფერხებდნენ კორნილოვის ეშელონების წინსვლას პეტროგრადისაკენ". („სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორია", გვ. 344).

ს. მ. კიროვის ინიციატივით „ველურ დივიზიაში" გაიგზავნენ მუსლიმანი - დელეგატები, რომლებმაც განუმარტეს მთიელ ჯარისკაცებს კორნილოვის ავანტიურის კონტრრევოლუციური დედაარსი. შედეგად „ველურმა დივიზიამ" განუცხადა უფროსებს, რომ იგი არ წავა წითელი დედაქალაქის გასანადგურებლად.

ქალაქებში იქმნებოდა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის რევოლუციური შტაბები. ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი ქვეყნის მუშებსა და ჯარისკაცებს მოუწოდა აქტიური შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ კონტრრევოლუციისათვის. მასები გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას. პეტროგრადის გარნიზონმა გააძევა ესერ-მენშევიკი კომისრები და მათ ადგილზე წამოაყენა ბოლშევიკები.

მასების გადამწყვეტმა წინააღმდეგობამ კონტრრევოლუციის ჯარში შეიტანა რღვევა. ყაზახებმა იწყეს თავისი მეთაურების დაპატიმრება. არმიის კომიტეტების განკარგულებით მთავარ ბანაკში დააპატიმრეს გენერლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ კორნილოვს.

ლენინი, უკეთებდა რა ანალიზს მოვლენებს, სწერდა: „კორნილოვის აჯანყება წარმოადგენდა სამხედრო შეთქმულებას, რომელსაც მხარს უჭერდნენ მემამულეები და კაპიტალისტები, კადეტების პარტიის მეთაურობით, და რომელმაც უკვე გამოიწვია სამოქალაქო ომის ფაქტიური დაწყება ბურჟუაზიის მხრით". (ტომი XXI, გვ. 201).

მაგრამ მაშინ, როცა „პროლეტარიატის მხრით სამოქალაქო ომის დაწყებამ ცხადჰყო მოძრაობის ძალა, შეგნებულობა, ნიადაგიანობა, ზრდა და სიმტკიცე, ბურჟუაზიის მხრით სამოქალაქო ომის დაწყებამ ვერავითარი ძალა, მასების ვერავითარი შეგნებულობა, ვერავითარი ნიადაგიანობა, გამარჯვების ვერავითარი შანსი ვერ ცხადჰყო" (ლენინი, ტომი XXI, გვ. 205).

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მასებმა მოიპოვეს გამარჯვება კორნილოვზე. კორნილოვშჩინა დამარცხდა. 30 აგვისტოს კორნილოვი სამართალში მისცეს. მემამულეებმა და ბურჟუაზიამ ვერ მოახერხეს რევოლუციის განადგურება. გენერლების მიერ დაწყებულმა სამოქალაქო ომმა ძირფესვიანად შესცვალა ძალთა თანაფარდობა.

„კორნილოვის აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა, — სწერდა ლენინი,—სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან არაჩვეულებრივი ძალით აუხილა ხალხის მასებს თვალი იმ ჭეშმარიტებაზე, რომელიც დაფარული იყო და დღემდე იფარება ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლური ფრაზით, სახელდობრ: მემამულეები და ბურჟუაზია კადეტების პარტიის მეთაურობით და მათ მხარეზე მყოფი გენერლები და ოფიცრები დაირაზმნენ, ისინი მზად არიან მოახდინონ და ახდენენ ყოვლად გაუგონარ დანაშაულობებს, გადასცეს რიგა (შემდეგ კი პეტროგრადიც) გერმანელებს, გაუხსნან მათ ფრონტი, გადასცენ დასახვრეტად ბოლშევიკური პოლკები, დაიწყონ ამბოხება, დასძრან დედაქალაქზე ჯარები „ველური დივიზიის" მეთაურობით და ა. შ.—ყოველივე ეს იმისათვის, რომ მთელი ძალაუფლება ხელში ჩაუგდოს ბურჟუაზიას, რომ განამტკიცონ მემამულეთა ძალაუფლება სოფლად, რომ მუშათა და გლეხთა სისხლით მორწყონ ქვეყანა.

კორნილოვის აჯანყებამ რუსეთისათვის დაამტკიცა ის, რაც ყველა ქვეყნისათვის დაამტკიცა მთელმა ისტორიამ, სახელდობრ, რომ ბურჟუაზია უღალატებს სამშობლოს და ყველა დანაშაულს ჩაიდენს, ოღონდ კი შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება ხალხის მიმართ და თავისი შემოსავალი" (ლენინი, ტომი XXI, გვ. 138—139).

თუ ივლისის დღეების შემდეგ ბურჟუაზიის დიქტატურა კიდევ იმალებოდა „რევოლუციის ხსნის მთავრობის" შირმის უკან, კორნილოვის დღეებში იგი მთელი თავისი უშნო სიშიშვლით წარმოგვიდგა. მილიონობით მასები შემჭიდროვდნენ, განმტკიცდნენ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში.

საბჭოები ბრძოლის ცეცხლში გაიწმინდნენ მენშევიკურ - ესერული სიბილწისაგან. ისინი გახდნენ რევოლუციური აჯანყების ორგანოებად, და ბოლშევიკების პარტიამ კვლავ წამოაყენა ივლისის დღეების შემდეგ დროებით მოხსნილი ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს".

„ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა რევოლუციის პირდაპირ მისვლას პროლეტარიატის დიქტატურასთან აჯანყების გზით. უფრო მეტიც: ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას და სახელმწიფოებრივ გაფორმებას". (სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 116).

მასები ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის (საქდესი).



რუსთაველის პროსპექტმა სახე იცვალა. ტრამვაის ხაზის აღების შემდეგ პროსპექტზე დაიგო ასფალტის ახალი ფენა. ახლო მომავალში აქ დაიწყება მუშაობა სტროლეიბუსო ხაზის გასაყვანად. სურათზე: რუსთაველის პროსპექტი ტრამვაის ხაზის აღების შემდეგ.
ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# მშრომელთა წერილები

## შვილი სახლიდან მაგდებს

67 წლის მოხუცი ვარ, ვღებულობ პენსიას, ვცხოვრობ მოხუცი ცოლით და უმცროსი შვილით ქ. ქუთაისში, ზდანოვიჩის ქუჩაზე, № 49 სახლში.

1936 წლის ივლისში მოვიდა ჩემი შვილი ნოე კოხოძე (რომელიც ჩემი ოჯახიდან გამოყოფილი იყო ჯერ კიდევ 8 წლის წინათ) და მთხოვა დროებით, სანამ ბინას იშოვნიდა, დამეთმო ერთი ოთახი (სახლი მაშინ ორთვალიანი იყო). მეც დავუთმე. ამის შემდეგ სახლს კიდევ მივუმატე ორი ოთახი, რომელიც ჩემმა შვილმა ნოემ თვითნებურად დაისაკუთრა. ამნაირად, იმის ნაცვლად, რომ სულაც გადასულიყო სხვაგან, მან სამი ოთახი დაიკავა. მე ჩემი ცოლით და შვილით დავრჩი ერთ პატარა ოთახში მომწყვდეული.

კიდევ მეტი. მოტყუებით სახლში შემოსულმა შვილმა ესეც არ მაკმარა. დამიწყო ჩხუბი, ლანძღვა და შევიწროვება, რათა მთლად გავეგდე სახლიდან. ერთხელ ფიზიკურადაც შემეხო და სახლის აივნიდან გადმომაგდო.

ყოველივე ამის შესახებ რამდენიმე თვის წინათ დაიბეჭდა წერილი ადგილობრივ გაზეთ „სტალინელში", რის საფუძველზეც მეორე რაიონის მილიციამ მოახდინა გამოკვლევა და ყველაფერი დადასტურდა. გაზეთმაც მისცა გამოხმაურება: „წერილი დადასტურდა და ნ. კოხოძე მიცემულია პასუხისგებაში".

მეც დავმშვიდდი. მეგონა ახლა მაინც მოეღება ბოლო ჩემს შევიწროებას მეთქი, მაგრამ ჩემმა შვილმა ნოემ მოახერხა ისე, რომ სასამართლოს დაადგენინა: „ბრალდების დაუდასტურებლობის გამო ნ. კოხოძე გამართლებულ იქნას". მოსამართლე კუპლაშვილს არც კი დაუკითხავს ზოგიერთი მოწმე, რომლებიც ადასტურებდნენ ყველაფერს (ა. კუპრაშვილი, ც. ჯავახაძე, ო. გრიგოლავა და სხვ.). იგი დაეყრდნო მხოლოდ ცრუ მოწმე დ. შავგულიძის ჩვენებას.

ამნაირად დავრჩი იმავე მდგომარეობაში. გრძელდება ჩემი შევიწროვება. საშუალება არა მაქვს თავისუფლად დავისვენო ჩემი პატიოსანი შრომით აშენებულ სახლში.

ვთხოვ პროლეტარულ მართლმსაჯულებას, გადასინჯულ იქნას ეს აშკარად ცალმხრივი და უკანონო განაჩენი და მე, მოხუცს, მომეცეს მყუდრო ცხოვრების საშუალება.

ვარლამ კოხოძე.

## მოსახლეობის ინტერესები მოითხოვს

თბილისის საერთო ზრდა-განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდება მისი ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო მუშათა რაიონი, ლენინის რაიონი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღემდის რჩება ერთი დიდი უხერხულობა, რომელიც სიძნელეს უქმნის მის მოსახლეობას.

ქალაქის ცენტრთან აქაურ მცხოვრებთა მთავარ დამაკავშირებელ საშუალებად რკინიგზის ლიანდაგების თავზე არსებული ფეხით სასიარულო ხიდი ითვლება, მაგრამ იგი უკვე ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. იქ ყოველთვის ხალხის დიდი ნაკადი მოძრაობს და ხიდი ისე იჭედება, რომ ძნელია თავისუფლად გავლა, მით უმეტეს თუ ბარგით მიდიხარ.

ქალაქის საბჭო აფართოვებს რაიონში მისასვლელ სატრანსპორტო მაგისტრალს რკინიგზის ლიანდაგის ქვეშ საბჭოს ქუჩაზე, რაც უსაუოდ მისასალმებელია. რაც შეეხება ფეხით სასიარულო ხიდს, მის გაფართოვებაზე ჯერ არ უფიქრიათ.

რაიონის მოსახლეობის ინტერესები მოითხოვს ამ ხიდის გაფართოვებასაც და ეს აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

გ. მჭედლიძე.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

### „მიწით მოვაჭრენი"

ამ სათაურით რედაქციამ ვანის რაიონიდან მიიღო წერილი, რომლის ავტორი გვწერდა, სოფ. ქვედა-გორაში კოლმეურნეობის წევრებმა ბესარიონ და ბიჭია გამრეკელიძეებმა სოფ. უხუთის მცხოვრებ ნ. ბიბიჩიძეს 1300 კვ. საჟენი მიწა მიჰყიდესო.

რედაქციამ წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სოფ. ქვედა-გორაში მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ დადასტურდა. რაიპროკურორს წინადადება მიეცა სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ყველა ის პირები, რომლებიც შემჩნეული არიან მიწების ყიდვა-გაყიდვაში და მოაწყოს ადგილზე მათი საჩვენებელი გასამართლება.

### „დაგვიანებით ცხადდებიან"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ხარაგოულის რაიონიდან გვწერდა, შემნახველი სალაროს მოლარე სონია ხარატიშვილი სამუშაოზე დაგვიანებით ცხადდება, ხოლო კონტროლიორი ლოლა შარიქაძეც დაგვიანებით დადის სამუშაოზე და კლიენტებს უხეშად ეპყრობაო.

რედაქციამ ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ხარაგოულის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ცხრაკბილაშვილს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. სონია ხარატიშვილს მიეცა გაფრთხილება, ხოლო ლოლა შარიქაძე მოიხსნა სამუშაოდან.

### „ანტირელიგიური პროპაგანდა მივიწყებულია"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ვანის რაიონიდან გვწერდა, უღმერთოთა კავშირის რაისაბჭოს მუშაკების უდარდელი მოქმედებით რაიონის მთელ რიგ სოფლებში ანტირელიგიური პროპაგანდა სავსებით მივიწყებულიაო.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ეს საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, უღმერთოთა კავშირის რაისაბჭოს ძველი შემადგენლობა სუსტი მუშაობისათვის დაშალა და გამოჰყო რაისაბჭოს ახალი შემადგენლობა სათანადო ავტორიტეტიანი მუშაკების შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ გაშალონ ანტირელიგიური მუშაობა რაიონში.

### „მოუქნელად მუშაობს"

რედაქციამ ამ სათაურით მიიღო წერილი ვანის რაიონიდან, რომლის ავტორი გვწერდა, სოფ. უხუთის კოლმეურნეობა „ოქტომბრის მონაპოვრის" გამგეობის თავმჯდომარე კლიმენტი ხურციძე მოუქნელად მუშაობს, უხეშად ეპყრობა კოლმეურნეებს და მექრთამეობას ეწევაო.

საქ. კ.პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს, რომ კლიენტი ხურციძის მიმართ წაყენებული ბრალდებები დადასტურდა. კოლმეურნეობის საერთო კრების წინაშე დასმულია საკითხი მისი თავმჯდომარეობიდან განთავისუფლების შესახებ.

## ვ. ი. ლენინის, ს. მ. კიროვის ძეგლები და ახალი თეატრი ლაგოდეხში

ლაგოდეხი, 8 სექტემბერი (საქდესი). რაიონული ცენტრის ქ. ლაგოდეხის მცხოვრებლები, ახლო-მახლო სოფლების კოლმეურნეები ამ დღეებში დიდი აღფრთოვანებით ღებულობდნენ მონაწილეობას ორი ახალი ძეგლის საზეიმო გახსნაში.

აგვისტოს დამლევს ლაგოდეხის ცენტრში, ქალაქის ბაღში გახსნეს პროლეტარული რევოლუციის გენიოსის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

5 სექტემბერს მოხდა მგზნებარე ტრიბუნის, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ს. მ. კიროვის ძეგლის გახსნა.

ორივე ძეგლი ქალაქის ნამდვილ მშვენებას წარმოადგენს.

○

ლაგოდეხი იზრდება, კეთილმოწყობილი ხდება. იგი იცვლის სახეს. ამასწინათ დამთავრდა მშენებლობა ქალაქის ახალი თეატრისა, რომლის საზეიმო გახსნა მოხდა 29 აგვისტოს. თეატრს მიეკუთვნა სახელოვანი სახალხო კომისრის, სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის ამხ. ნ. ი. ეჟოვის სახელი.

◇

## ელექტროსადგური სვანეთში

მთავრდება მესტიის ჰიდროელექტროსადგური. ამ სადგურის მშენებლობა ჯერ კიდევ 1930 წელს დაიწყო. პროექტით გათვალისწინებული დაიდგას 200-ცხენის ძალიანი ტურბინი, რომელიც შუქს მიაწვდის მესტიისა და ლენჯერის სოფსაბჭოებში შემავალ სოფლებს.

ამ ერთ თვეში უნდა დამთავრდეს ყველა საამშენებლო სამუშაო, რის შემდეგ სადგური საექსპლოატაციოდ გადაეცემა.

◇

## ფიზკულტურა და სპორტი კოლმეურნეობებში

ქუთაისი, 8 სექტემბერი (საქდესი). წელს გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი საკოლმეურნეო სოფელში ფიზკულტურისა და სპორტის განსავითარებლად, და ამ მიმართულებით სოფლად ბევრი რამ გაკეთდა.

ქუთაისის რაიონის სოფლებში მუშაობს ფიზკულტურის 14 ინსტრუქტორი - ორგანიზატორი. ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმულია 310 ახალგაზრდა კოლმეურნე. სოფლად არსებობს ტანვარჯიშობის, მძლეოსნური, ძალოსნური, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მონადირეთა სექციები, არის აგრეთვე ველო-სექცია და სპორტის ეროვნული სახეების სექციები (ჯირითი, ლელო და სხვ.).

წელს ფართოდ გაიშალა ფიზკულტურის მოედნების მშენებლობა: ს. ფარცხანაყანევს აქვს მოედნები ფრენბურთისა და კალათბურთისათვის. ს. პატრიკეთში მოეწყო მოედნები ლელოსა და ჯირითისათვის. ს. გეგუთში არის მოედნები ფეხბურთისათვის, ფრენბურთისა და კალათბურთისათვის.

გეგუთელი კოლმეურნეები დიდად ეტანებიან სპორტის ეროვნულ სახეებს. ლელო და ჯირითი აქ დიდ პატივშია და ხშირად იმართება შეჯიბრებები, რომლებსაც ესწრებიან ახლო სოფლების კოლმეურნეებიც.

ზაფხულის პერიოდში საკოლმეურნეო გუნდებს შორის ჩატარდა გათამაშება ფრენბურთში სარაიონო პირველობაზე. გამარჯვება ხვდა ს. ფარცხანაყანევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფრენბურთელთა გუნდს.

ს. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის" ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საკოლმეურნეო გუნდების შეჯიბრებაში. ამავე სოფლის ლელოს მოთამაშეებმა და მოჯირითეებმა რამდენჯერმე მოაწყეს თამაშობა - შეჯიბრება ქუთაისში.

ამჟამად სოფლები გაცხოველებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის 20 წლისთავის დღესასწაულისათვის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლელოს, ჯირითს, მარულას...

## სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების დეკადა ქ. თბილისში

სტალინირი, 8 სექტემბერი (საქდესი). განზრახულია ოქტომბერს თბილისში ჩატარდეს სამხრეთ-ოსეთის ხელოვნების დეკადა.

ხელოვნების მუშაკები გაძლიერებით ემზადებიან დეკადისათვის.

სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრი დეკადის დროს საჩვენებლად ამზადებს ორ პიესას: ბრიტაევის „ხაზბის" და შანშიაშვილის „არსენას". სამხრეთ-ოსეთის ეთნოგრაფიული გუნდი ამხ. მამიევის ხელმძღვანელობით შეასრულებს ოსურ ხალხურ სიმღერებს. ამ სიმღერებშია — სიმღერა ლენინზე, სიმღერა სტალინზე და კოლმეურნის სიმღერა. ეთნოგრაფიული გუნდის ქართული სექტორი შეასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერას „სულიკოს" და გურულ კოლმეურნულ სიმღერას „ხალხთა დიდ ბელადზე ამხანაგ სტალინზე".

დეკადისათვის აქტიურად ემზადება სამხრეთ-ოსეთის ქორეოგრაფიული სტუდია. სტუდია ამხ. ბირაგოვის ხელმძღვანელობით დეკადის დროს გვიჩვენებს ოსურ ნაციონალურ ცეკვას.

◇ ◇ ◇

## ავჭალის წყალსადენის რეკონსტრუქცია

თბილისის საწარმოები — ფაბრიკები და ქარხნები, სახელოსნოები და წვრილ-წვრილი წამოწყებები უამრავ წყალს ხარჯავენ ყოველდღიურად. ახლა გადაწყვეტილია — საწარმოებს ნატახტარის სუფთა წყაროს წყლის ნაცვლად ავჭალის წყალსადენით მტკვრის წყალი მიაწოდონ.

ამასწინათ თბილისის საბჭოში შესდგა საწარმოების წარმომადგენლების თათბირი ავჭალის წყალსადენის რეკონსტრუქციის საკითხებზე. გადასწყდა წყალსადენის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად გასაწევი ხარჯის დაფარვაში მონაწილეობა მიიღონ დიდმა ფაბრიკა-ქარხნებმა.

მაუდის ფაბრიკამ, ავტოსარემონტო ქარხანამ, სატრიკოტაჟო კომბინატმა, ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ, სამკერვალო ფაბრიკებმა და სხვა მსხვილმა საწარმოებმა იკისრეს წყალსადენის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესასრულებლად გაიღონ, თანხებს გარდა, საშენი მასალაც.

წყალსადენის რეკონსტრუქცია მომავალ წელს დაიწყება.

○ ○ ○

## იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი

ხაშური, 9 სექტემბერი (საქდესი). ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის ელდეპოს მუშა-მოსამსახურეები დიდი მონდომებით სწავლობენ ახალ საარჩევნო კანონს.

დებულების შესასწავლად ელდეპოში შექმნილია 30 წრე. წრეებში სისტემატურად მიმდინარეობს მეცადინეობა. გარდა ამისა ცალკეულ ჯგუფებსა და საამქროებში აგიტატორები ატარებენ საუბრებს სტალინური კონსტიტუციისა და ახალი საარჩევნო კანონის შესახებ.

მუშა-მოსამსახურეების ოჯახის წევრებისა და დიასახლისებისათვის შექმნილია დებულების შესასწავლი წრეები, სადაც მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს.

ახალი საარჩევნო კანონის შესწავლამ მუშებს შორის შექმნა შრომის ახალი ენტუზიაზმი. მემანქანეებმა ახალკაცმა, ტატიშვილმა, რიჟამაძემ, აბესაძემ და სხვ. იკისრეს ვალდებულება ორთქლმავლის გარბენის ნორმები 200 პროცენტით შეასრულონ.

„ს-№-10-05" სერიის ელმავლის მემანქანეებმა ძინძიბაძემ და სუხიშვილმა იკისრეს ვალდებულება ურემონტოდ გაირბინონ 50.000 კილომეტრი.

○ ○ ○

## მყიდველთა მოტყუებისათვის—პასუხისგებაში

თბილისის მაღაზიებში, რომელნიც ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობენ, არის მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები, როცა გამყიდველები მეორე და მესამე ხარისხის ხილს პირველხარისხოვნად ასაღებენ. ამ დღეებში თბილმრეწვავაჭრობის ხილის ფარდულის გამგემ ი. ბოგდანოვმა მეორე ხარისხის ვაშლი გასასყიდად გამოუშვა როგორც პირველ ხარისხოვანი, კილოგრამი 1 მან. 25 კაპიკად. თბილრაიტრანსვაჭრობის ხილის № 2 წერტის გამგე ავანესოვი მეორე ხარისხის ხილს ჰყიდის, როგორც პირველი ხარისხისას.

ხილ-ბოსტნეულის ხარისხს ხშირად ჰრევენ მოვაჭრე ორგანიზაციათა საწყობები. „სოიუზპროდმაგის" № 3 საწყობის გამგე ნ. კვეზერიამ №8 მაღაზიის გამგეს მესამე ხარისხის მსხალი გაუგზავნა, როგორც მეორე ხარისხისა. პასუხისმგებელმა შემსრულებელმა თბილმრეწვავაჭრობის № 2 საწყობის ხილ-ბოსტნეულის დარგში გრიგოლოვმა № 21 მაღაზიას გაუგზავნა მეორე და მესამე ხარისხის ვაშლი, ფაქტურაში კი აღნიშნა—პირველ ხარისხოვან ხილს ვგზავნით.



1 სექტემბერს მოსკოვში სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალში გაიხსნა V საბჭოთა თეატრალური ფესტივალი. პირველ საღამოს, რომელიც მიძღვნილი იყო სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედებისადმი, დაესწრო მსოფლიოს 20 ქვეყნის წარმომადგენელი.
სურათზე: ქართული ცეკვა „ხორუმის" შესრულება. მარცხნიდან მარჯვნივ—არტისტები ამხ. ჩიხლაძე, იზრაილევი, სლუცკერი და ჩეჩიშვილი.
(„სოიუზფოტო").

## იშვიათი ლითონები ზემო-სვანეთში

(ჩვენი საქ. კორ.).

წელს ზემო-სვანეთის რაიონში რამდენიმე გეოლოგიური პარტია მუშაობს. შარშან სოფელ ჰადიშის ახლოს ვოლფრამიტის სამადნეები აღმოაჩინეს. გარდა ამისა, ქალდის, სურმის და ცენის მიდამოებში აღმოჩენილია ტისკალის, ვოლფრამიტისა და მოლიბდენის გამადნება. ეს ნიშნები იმედს იძლევიან, რომ იქ არსებობს სერიოზული საბადოები.

წელს ზემო-სვანეთში აღმოჩენილი საბადოების დეტალურად შესასწავლად და ლითონის მარაგის აღსანუსხავად მივლინებულ იქნენ გეოლოგები.

ინჟ. მ. შონიას გეოლოგიური პარტია აგრძელებს კვლევა-ძიებას ჰადიშის დასავლეთით, ცანერისა და დვიბერის ხეობებში, მესტიის გადასასვლელამდე, ხოლო იქიდან ბეჩო-კოდორის მიმართულებით სხვა პარტიები მუშაობენ.

სამი თვის განმავლობაში შონიას პარტიამ აღმოაჩინა ვოლფრამიტის ახალი გამადნება სოფელ მუჟალის რაიონში ზგიმაზუკის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე. მისი პრაქტიკული მნიშვნელობის გამოსარკვევად სწარმოებს წინასწარი მუშაობა.

ზემო-სვანეთშია დარიშხანის დიდი მასშტაბის საბადოც, სადაც ამჟამად ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს.

ოთ. ეგაძე.

◇

## ავტოცისტერნა მესტიაში

(ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან).

სვანეთში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ნავთი სანატრელად იყო მიჩნეული და მას ორიოდე მღვდლისა, მასწავლებლისა და ზოქაულის გარდა არავინ ხმარობდა... მაშინ ამ მხარეში ნავთის მაგივრობას კვარი სწევდა და ყოველმხრივ დახუთულ „მაჩუბებში" ჭვარტლის ბუღი იდგა.

ახლა ძნელად ნახავთ ოჯახს სახლში ლამპარი რომ არ ედგას. ბევრმა ელექტრონიც გაიყვანა. ილიჩის შუქურამ სვანის ოჯახი გაანათა.

წელს სვანეთში 5 ათასზე მეტი ფუთი ნავთი იქნება შეზიდული. მოსახლეობის მომსახურების მიზნით ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ავტოცისტერნა შეიძინეს და ახლად გაყვანილი შარაგზით შორეულ სოფლებს მიუდგნენ და მოსახლეობას ნავთი ადგილზე მიაწოდეს.

სვანები მეტად მოხარული არიან, რომ ნავთისათვის შორი გზის გავლა აღარ უხდებათ.

◇

## ფეხბურთი

## თბილისელების გამარჯვება

მოსკოვი, 9 სექტემბერი (ჩვენი საქ. კორ.). დღეს დინამოს სტადიონზე 50 ათასი მაყურებლის თანადასწრებით შესდგა თბილისელი ფეხბურთელების პირველი წრის უკანასკნელი შეხვედრა „ცდკ"-ს გუნდთან. შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 5:2 თბილისელთა სასარგებლოდ, რომელთა თამაშს ამჯერად ახასიათებდა ინიციატივა, ენერგიულობა და მოხერხებული კომბინაციები.

გუნდი 10 სექტემბერს გაემგზავრება თბილისში.

○

## მოსკოვის „მეტალურგის" დამარცხება

უკანასკნელად მოსკოვის „დინამოს" და „სპარტაკის" შეხვედრამ, რომლიდანაც გამარჯვებული გამოვიდა „სპარტაკი", გადასწყვიტა „მეტალურგის" გუნდის პირველობა თამაშის პირველ წრეში.

5 სექტემბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე თამაშის მეორე წრეში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამოს" და მოსკოვის „მეტალურგის" გუნდები. წვიმიანი დღე იყო. „დინამოელებმა", ისარგებლეს რა მეტალურგების თავდამსხმელთა სუსტი თამაშით, მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი, თავიანთ კარში კი არც ერთი ბურთი არ მიუღიათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმისა და ბავშვებისადმი უდიდესი ყურადღებითა და სიყვარულით მუშაობს ორდენოსანი პედაგოგი ამხ. ალ. ხუსკივაძე მე-7 საშუალო სკოლაში, სადაც ის პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობასაც ასრულებს.
სურათზე: მე-5 კლასის ფრიადოსანი მოწაფე ენრიკო მანჯგალაძე აბარებს არითმეტიკის გაკვეთილს ორდენოსან მასწავლებელს ა. კ. ხუსკივაძეს.

## შემთხვევები

# მძარცველთა ბანდა: ამასწინათ სოფ. ჩალოკ'ში (ოჩამჩირის რაიონი) მძარცველებმა მოჰკლეს ამ სოფლის მცხოვრები გუდა კეცბა.

მძარცველები გ. კეცბას სახლში გასაჩხრეკად შევიდნენ, ვითომ სასროლ იარაღს ეძებდნენ. კეცბა მიხვდა, რომ მძარცველებთან ჰქონდა საქმე, და ცოლს უთხრა — მეზობლებისათვის დაეძახნა. დამნაშავეებმა დაინახეს, რომ გაძარცვას ვეღარ მოახერხებდნენ, რევოლვერით მოჰკლეს გ. კეცბა და მიიმალნენ.

დამნაშავეები მალე შეიპყრეს. როგორც გამოირკვა, ეს ბანდა ამ ცოტა ხნის წინათ მოწყობილა ზუგდიდში და მიზნად ისახავდა მთელ რიგ გაძარცვათა მოხდენას ოჩამჩირის რაიონში. ბანდას ტ. გ. ფაცია მეთაურობდა. ბანდაში შედიოდნენ რ. ს. ფარცვანია, ი. ი. კარპუშვილი, პ. მ. ფაცია და მ. გ. ფაცია. ყველა მძარცველს რევოლვერები აღმოაჩნდათ. დამნაშავეები დააპატიმრეს.

◇

## პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში დღეს, 10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე პროპაგანდისტებისათვის მოეწყობა ამხ. მურახაშვილის კონსულტაცია თემაზე: „მარქსისა და ენგელსის ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მუშათა მოძრაობაში".

○

10 სექტემბერს, საღამოს 7 ს. 30 წ. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის 26 კომისრის სახ. პარტრაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება მოხსენება პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის თემაზე: „ომის ორი კერა". მომხსენებელი ამხ. სულეიმანი.

○

10 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება:

1. აგიტსემინარის მორიგი მეცადინეობა მცირერიცხოვანი ორგანიზაციების აგიტატორთათვის თემაზე — ფაშიზმის შემოტევა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები ფაშიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის მთლიანობისათვის ბრძოლაში. (რუსულ და ქართულ ენებზე).

2. ჯგუფური კონსულტაცია პარტპოლიტწრეების მეცადინეობის მეთოდების შესახებ უმაღლეს სასწავლებელთა ორგანიზაციების პროპაგანდისტებისათვის.

○

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1511327, გაცემული მის მიერ მიხეილ დარისპანის-ძე კალაძის, და პარტბილეთი № 1508152, გაცემული თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მიერ ივანე ნიკოლოზის-ძე ლეფსვერიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ბაღდათის რაიკომი იუწყება, რომ 1936 წ. ნიმუშის პარტბილეთი № 1527179, გაცემული მის მიერ ვარლამ გერმანეს-ძე ცარციძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომი აცხადებს: 1936 წ. ნიმუშის პარტბილეთი № 1511683, გაცემული გიორგი ივანეს-ძე ელოშვილის სახელზე, საკანდიდატო ბილეთი № 0709594—ანნა იოსების-ას. პაპაშვილის სახელზე და საკანდიდატო ბილეთი № 0709668 — ვლადიმერ გრიგოლის-ძე მათიაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

სარედაქციო კოლეგია


დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

| | |
|---|---|
| ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135 | დაკარგული სამოთხე დასაწყ. 6-40 |
| დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 | ახალი ხმოვანი ფილმი პეტრე 1-ლი დასაწყისი საზამთ. 6, საზაფხ. 8-20 |
| კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91 | საზაფხ. შენ. პეტრე 1-ლი დასაწყისი 8-50 საზამთ. შენ. ცამეტნი დასაწყ. 6-30 |
| რ ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 | მაქსიმეს დაბრუნება დასაწყ. 6-30 |
| 26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი. | ხმოვანი ფილმი გავროში დასაწყ. საზაფხ. 8-30 საზამთ. 6-30 |
| კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222 | ხმოვანი ფილმი ა ი - გ უ ლ დასაწყისი 8 საათზე. |
| ახალი ამბები | საზოგადოების საქვარელი ხმოვ. ჟურნ. №№ 36, 37 |
| არხენა კომუნალური ქ. № 9 | ხმოვანი ფილმი ფ ი ც ი დასაწყისი 7 საათზე |

ა. ლ. ქლენპი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8. 17278


# ბ ა ლ ა ნ ს ი

## საქ. ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატის ცელულოიდის ნაწარმოების ფაბრიკისა 1937 წლის 1 იანვრისათვის.

აქტივი

| №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | ჯ ა მ ი (ათას მანეთებში) |
|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა | 413,4 |
| 2 | ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა | 10,2 |
| 3 | მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა | 261,6 |
| 4 | ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება | 41,5 |
| 5 | საქონელი და მზანაწარმი | 16,2 |
| 6 | გასაყიდად გამოყოფილი საგნები | 6,6 |
| 7 | ფულადი საშუალებანი | 146,3 |
| 8 | ანგარიშსწორებანი | 76,6 |
| 9 | მომავალი პერიოდის ხარჯები | 7,2 |
| 10 | განყენებული საშუალებანი | 9,6 |
| 11 | შინასაბალანსო ანგარიშსწორებანი | 43,8 |
| | ბალანსი | 1033,0 |

პასივი

| №№ რიგ. | ანგარიშების დასახელება | ჯ ა მ ი (ათას მანეთებში) |
|---|---|---|
| 1 | საწესდებო ფონდი | 402,7 |
| 2 | რეზერვები | 28,9 |
| 3 | ანგარიშსწორებანი | 170,1 |
| 4 | დაგროვებანი | 431,3 |
| | ბალანსი | 1033,0 |

## 1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| 1 | სხვადასხვა დანაკარგები | 34,4 |
| | დაგროვების სალდო | 431,3 |
| | ბალანსი | 465,7 |

| | | |
|---|---|---|
| 1 | დაგროვებანი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით | 465,5 |
| 2 | სხვადასხვა დაგროვებანი | 0,2 |
| | ბალანსი | 465,7 |

დირექტორი ბერიაშვილი. მთ. ბუხჰალტერი აღსაჯანიშვილი.

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის სახკომატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1700 საქ. ადგილ. მრეწველობის საბუხჰალტერიო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯანელიძე.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მზ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 63.

მთავლიტის რწმუნებული № ბ—3903